ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 24 მარტი, 2020 №70 (8334) ფასი: 60 თეთრი

საგამოძიებო სამსახურმა ონლაინ კაზინოების პროვაიდერი „ევოლუშენ გეიმინგი“ დახურა

რამდენიმე თანამშრომელს მაღალი ტემპერატურა აღენიშნებოდა

გვ.5

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ლაშა ჩხარტიშვილი: „კარანტინში მყოფ პირებს 500-500 ლარი უნდა დაურიგდეთ“

გვ.3

„ხელისუფლებამ საპატრიარქოს უნდა აუხსნას, რა საფრთხეზეა საუბარი“

„ბახარია ნორმალური მენეჯერი აღმოჩნდა“

გვ.3

თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლებამ შუალედური გზა აირჩია“

„ოპოზიცია ჩასაფრებული არაა, მზად ვარ, ვირუსთან საბრძოლველად რიგით მოხალისედ ჩავერთო“

ხატია დეკანოიძე: „განსაკუთრებული ხიბლი არ მაქვს, რომ „ლელოსთან“ ერთად კიდევ ერთ მაგიდასთან დავჯდე“

გვ.2

ბათუმში ბერლინიდან ევროპაში ჩარჩენილი 182 ქართველი ჩამოიყვანეს

გუშინ, 23 მარტს, ბათუმის აეროპორტში სპეცრეისით საქართველოს მოქალაქეების მორიგი ნაკადი ჩამოიყვანეს.

ბერლინი-ბათუმის რეისით ევროპაში ჩარჩენილი 182 ქართველი ჩამოიყვანეს.

აეროპორტში საქართველოს მოქალაქეებს სპეციალური ეკიპირებით მედიკოსები და შსს-ს წარმომადგენლები დახვდნენ.

ყველა მგზავრი საკარანტინო ზონაში განთავსდება.

გვ.4

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია გახდა

ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ისე არ ეჭცევა“

გვ.4

მარნეულსა და ბოლნისში ვითარება კონტროლს ექვემდებარება

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

გვ.5

მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში 12 საკონტროლო გამშვები საგუშაგოა მოწყობილი

ISSN 1987-9385

3 ნინო ლომჯარია: „საგანგებო მდგომარეობის დროს რელიგიური შეკრებები იზღუდება, აღმსარებლობა კი – არა“

4 მამა შალვა კეკელია: „სულ რომ სიკვდილი მემუქრებოდეს, ეკლესიას ვერასოდეს დავთმობ“

5 ბესიკ თამლიანი ციხიდან გამოუშვეს
მას 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

6 ჩინეთში კორონავირუსის შიდა გავრცელება აღარ ფიქსირდება

„ოპოზიცია ჩასაფრებული არაა, მზად ვარ, ვირუსთან საბრძოლველად რიგით მოხალისედ ჩავერთო“

ხატია დეკანოიძე: „განსაკუთრებული ხიბლი არ მაქვს, რომ „ლელოსთან“ ერთად კიდევ ერთ მაგიდასთან დავჯდე“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოში 2 დღის წინ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რომლის მიხედვითაც 10 ადამიანზე მეტის შეკრება იკრძალება, თუმცა ბუნდოვანია, ეხება თუ არა ეს ყველას, მაგალითად, ეკლესიას. ამაზე ხელისუფლებაში მკაფიო განმარტება ამ დრომდე არ გაკეთებულა.

ამას გარდა, ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები საკარანტინო ზონად გამოცხადდა. იკრძალება რეგიონებში შესვლა და გამოსვლა, ასევე იზღუდება გადაადგილება და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება.

რამდენად სწორი ნაბიჯები გადადგა ხელისუფლებამ და ხომ არ ცდილობს შექმნილი სიტუაციიდან პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალი თაობის“ კითხვებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი **ხატია დეკანოიძე** საუბრობს.

– საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში ვართ, ხელისუფლებამ გადადგა გარკვეული ნაბიჯები, თუმცა კრიტიკა მაინც ისმის. თქვენი შეფასებით, რამდენად ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგა – საჭირო იყო თუ არა საგანგებოს გამოცხადება იმ ფონზე, როცა ეკლესიის მიმართაც ვრცელდება თუ არა ეს, ამას მკვეთრად არ გვეუბნებიან?

– სამწუხაროა, რომ გახარიას საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების ფორმულასა და გამოცემულ დეკრეტს შორის იყო აცდენა. თუ საუბარია ათკაციან შეკრებაზე და არ შეიძლება ათ ადამიანზე მეტის შეკრება, მაშინ ეს ყველაზე უნდა გავრცელდეს და შერჩევითი მიდგომა არ უნდა ყოფილიყო. ეს არის ჩვენი პოზიცია, რომ თუ საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია და ეს კრძალავს ათზე მეტი ადამიანის შეკრებას, ეს ყველას მიმართ უნდა განხორციელდეს და ყველაზე უნდა გავრცელდეს.

სიმართლე გითხრათ, არ ვარ არც თეოლოგი და არც რელიგიის საკითხებში ექსპერტი და ამ კონტექსტში ვერ ვისაუბრებ, მაგრამ შემიძლია კანონიდან გამომდინარე ვიმსჯელო. ჩვენ ამიტომ მივეცით ხმა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას და მივეცით ყველანაირი მანდატი ხელისუფლებას, რადგანაც ის არის პასუხისმგებელი ადამიანების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე.

ერთ მაგალითს გეტყვით, საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში მესა ჩატარდა და მას ასობით ადამიანი დაესწრო, იქ იყო ეპიდემიის აფეთქება. არავინ არ არის დაზღვეული და ჯანდაცვის ყველა მნიშვნელოვანი სპეციალისტის რეკომენდაციაა, რომ უნდა დავიცვათ სოციალური დისტანცია და ეს უნდა გავითვალისწინოთ. თუ არ იქნება დისტანცია დაცული, მაშინ ვირუსის გავრცელების რისკი არის ძალიან მაღალი. მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ, ამას მეტს ვერც ვერაფერს დავამატებ და ვერც ვერაფერს გამოვაკლებ.

– რაც შეეხება ხელისუფლების სხვა ნაბიჯებს, ადეკვატურია თუ არა ის შექმნილ ვითარებაში?

– მე ვფიქრობ, რომ, მაგალითად, მარნეულის შემთხვევამ დაადასტურა, რომ ცოტა ჩამორჩნენ მოვლენებს, ასევე არ არსებობს ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა. იმიტომ, რომ ძალიან ბევრი მოქალაქე დარჩა უმუშევარი, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე, რაც ეკონომიკურად ძალიან მძიმე ფონს ქმნის. ეკონომიკური გაჭირვების ტალღა ალბათ წინ არის, ამიტომ საჭირო გახდება რაღაც სოციალური შეღავათები.

ჩვენ ხელისუფლებას შევთავაზეთ კონკრეტული ინიციატივები, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ ჩვენ არ ვიცით, რა ნაბიჯებს გადადგამენ. ანტიკრიზისული გეგმა ჯერ ჩვენ არ გვინახავს. ამიტომ ცუდია, რომ ძალიან ბევრი ადამიანი დარჩება შემოსავლის გარეშე.

– ისიც ხომ არ დაინახეთ მმართველი გუნდის მხრიდან, რომ რაღაცნაირად ამ სიტუაციის გამოყენებას ცდილობენ და პოლიტიკური დივიდენდების მიღების მცდელობა ხომ არ იყო გახარიას ოპოზიციის მისამართით გაკეთებული განცხადება?

– ოპოზიცია მთელი ამ ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ ყოფილა ჩასაფრებულ პოზიციაში და ჩვენ ვცდილობდით, რომ რაღაც კონკრეტული ინიციატივები მიგვეწოდებინა. გახარიას განცხადებას არ შევაფასებდი. იმიტომ, რომ მე ვფიქრობ, როდესაც ქვეყანა ამხელა საფრთხის წინაშეა, მაშინ პრემიერი ასეთ ისტერიულ ფონს არ უნდა ამჟღავნებდეს, მხოლოდ ეს შემიძლია გითხრათ მის განცხადებასთან დაკავშირებით. დანარჩენი ახალი არ არის „ქართული ოცნების“ მხრიდან. მაგრამ მთავარი ეს კი არ არის, არამედ მთავარია ის, რომ დამარცხდეს კორონავირუსი და ძალიან სერიოზულ გამოწვევებს გაუმკლავდეს ჩვენი ქვეყანა. ამ წუთას საჭიროა ყველანაირი ნაბიჯის გადადგმა, რაც ეფექტს მოიტანს.

– ანუ, თქვენი ეს განცხადება იმგვარად უნდა გავიგოთ, რომ, სანამ ვირუსის რისკის ზღვარზე ვართ, თქვენ არ აპირებთ ხელისუფლების მკვეთრ კრიტიკას?

– არა. ჩვენ ვსვამთ კონკრეტულ კითხვებს. ჩვენ, მათ შორის ღია ეთერში, ვსვამთ კონკრეტულ კითხვებს, თუნდაც მარნეულის შემთხვევასთან დაკავშირებით, მათ შორის, პოლიციის აღჭურვილობასთან დაკავშირებით.

არა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ კრიტიკა არ იქნება, უბრალოდ, მე ვამბობ იმას, რომ ჩასაფრებული პოზიციიდან არავინ არ არის. ყველას ინტერესშია, რომ ქვეყანაში ვირუსი დამარცხდეს. იმიტომ, რომ ეს არის ძალიან სერიოზული გამოწვევა, რომლისთვისაც, სამწუხაროდ, ქვეყანა ჯერჯერობით მზად არ აღმოჩნდა, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ყველაფერი გადაივლის და ადამიანები გაჭირვების გარეშე გააგრძელებენ ცხოვრებას და ამაზე ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, რომ ყველანაირი ღონისძიება გაატაროს.

– მარნეულთან დაკავშირებით რა კითხვები გაგიჩნდათ?

– აი, მაგალითად, ის, რომ როდესაც ადამიანი შევიდა 18 მარტს პნევმონიით, რატომ არ იყო ჩატარებული მალევე კვლევა, რატომ გახდა საჭირო, რომ მთელი საავადმყოფო კარანტინზე გადასულიყო. ახლა კადრებს ვუყურებ და ძალიან ბევრი სამართალდამცველი არ არის დაცული სპეციალური ეკიპირებით და ა. შ. უამრავი კითხვაა, მათ შორის ტესტებთან დაკავშირებით, მათ შორის სხვადასხვაგვარი ინფორმაცია მოდის და ერთი კონკრეტული ინფორმაცია არ არსებობს, ყველა სხვადასხვა რაღაცას ლაპარაკობს.

ამიტომ, მე ვისაც ვენდობი, ესენი არიან ექიმები, ყველა ჩვენთაგანი უნდა ენდოს ექიმებს, აუცილებელია იზოლაცია და მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ადამიანები მაქსიმალურად დავიცვათ. მაქსიმალურად, ყოველგვარი კინკლაობის გარეშე განვიხილოთ ყველანაირი ინიციატივა იმისათვის, რომ ადამიანები ვირუსის ამ ტალღის შემდეგ შიმშილით არ დაიხოცონ.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორი ხედვაა, რაც „ლელომ“ გააჟღერა და საჭირო იყო ხელისუფლება დათანხმებოდა ამ იდეას, რომ პარტიები ჩაერთეთ ინტერპარტიული ჯგუფის ფორმატში და მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა სხვა პოლიტიკური აქტორებისთვისაც?

– იცით რა? მე კარგად არ ვიცნობ „ლელოს“ ინიციატივას. ყველას თავისი პოზიციიდან შეუძლია დახმარება. მე შევთავაზე ხელისუფლებას, რომ ჩემი კომპეტენციის და გამოცდილების ფარგლებში მზად ვარ ჩავერთო. იცით, რომ მე გამოცდილება მაქვს სამართალდამცავი სტრუქტურებისა და კრიზისების მართვის მენეჯმენტში და თუ რაიმე დასჭირდებათ, მზად ვარ ჩავერთო და დავეხმარო, მზად ვარ ჩავერთო და რიგით მოხალისედ ვიმუშაო.

ახლა „ლელოსთან“ ერთად კიდევ ერთ მაგიდასთან დავჯდე და დავიწყო კიდევ კაბინეტში შეკრებების მოწყობა, ამის განსაკუთრებული ხიბლი არ მაქვს. ამიტომ, ყველა ჩვენთაგანმა ის უნდა გავაკეთოთ, რაც შეგვიძლია.

მთავრობამ ხალხმრავალი ქორწილები და ქელეხები აკრძალა

მთავრობა ისეთ სოციალურ ღონისძიებებს კრძალავს, რომლებიც დაკავშირებულია 10-ზე მეტი ფიზიკური პირის შეკრებასთან, მაგალითად, როგორიცაა ქელეხი, ქორწილი და სხვა მსგავსი ღონისძიებები.

ამის შესახებ საქართველოს მთავრობის 23 მარტის დადგენილებაშია ნათქვამი.

ოფიციალური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით იკრძალება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეკრება ან/და მანიფესტაცია.

ასევე, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით. ამ მუხლის მიზნებისთვის საჯარო სივრცე არის როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებული ნებისმიერი ადგილი, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს.

ეს შეზღუდვა არ ეხება:

ა) სამედიცინო დაწესებულებებში, საჯარო დაწესებულებებში, თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში, სამართალდამცავ ორგანოებში პირთა თავშეყრას მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით;

ბ) საზოგადოებრივ ტრანსპორტს, თუ მათზე არ ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის დროს საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა;

გ) სამშენებლო-ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას.

მთავრობის დადგენილებით ასევე ირკვევა, რომ 10-ზე მეტი ფიზიკური პირის თავშეყრა, მათ შორის, იმ კერძო დაწესებულებებში, რომელთა მიმართაც არ ვრცელდება საქმიანობის შეჩერების მოთხოვნა, დასაშვებია ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით, არანაკლებ 2 მეტრის სოციალური დისტანციის დაცვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, გათვალისწინებული შეზღუდვების აღსრულებაზე კონტროლს ახორციელებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები.

საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების რაოდენობა 61-მდე გაიზარდა

საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობა 61-მდე გაიზარდა.

ინფექციური საავადმყოფოს ბოქსირებული განყოფილების ხელმძღვანელის მარინა ენდელაძის ინფორმაციით, კორონავირუსით ინფიცირებული 4 ახალი პაციენტი ახალ კლასტერს წარმოადგენს და ისინი ამერიკიდან არიან ჩამოსულები.

მისივე თქმით, აღნიშნული პაციენტები საშუალო ასაკის არიან და 1 შედარებით ახალგაზრდა, 15 წლის ბავშვია.

კლინიკაში გადმოყვანამდე ისინი თვითიზოლაციაში იმყოფებოდნენ.

– ჩვენს კლინიკაში გამოვლინდა 4 ახალი ინფიცირებული და აჭარაში 3, მათ შესახებ არაფერი ვიცი. რაც შეეხება 4 ახალ ინფიცირებულს, ეს არ არის შიდა გადაცემა, ისინი არიან ამერიკიდან ჩამოსულები, ეს არის ახალი კლასტერი, თუმცა არა შიდა გადაცემა. მათი ზოგადი მდგომარეობა ამ დროისთვის არ არის მძიმე. მომავალში ჩატარდება გამოკვლევები და დაენიშნებათ მკურნალობა. ახალი შემთხვევების კავშირები გამოიკვლევა, ისინი თვითიზოლაციაში იყვნენ მანამდეც. ყველანი საშუალო ასაკის არიან, 1 შედარებით ახალგაზრდა, 15 წლის ბავშვია, – განაცხადა მარინა ენდელაძემ.

აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ზაალ მიქელაძემ სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა, რომ 3 ახალი ინფიცირებული მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა, მათ მინიმალური კლინიკური ნიშნები აღენიშნებათ.

მინისტრის თქმით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ერთ-ერთ სასტუმროში თვითიზოლაციაში იმყოფებოდა, სპეციალური რეისით სამშობლოში დააბრუნებენ.

– უცხო ქვეყნის მოქალაქე თვითიზოლაციაში იმყოფებოდა, იგი ჩრდილოეთ ევროპიდან ჩამოვიდა. თავის ქვეყანაში ჩატარებული ჰქონდა კვლევა, რა მეთოდით, არ ვიცით... 23 მარტს მიიღო შეტყობინება საეჭვო დადასტურების შესახებ, გვაცნობა და გადავიყვანეთ კლინიკაში. უცხო ქვეყნის მოქალაქეს დამატებით კვლევა ჩაუტარდა და აღმოჩნდა პასუხი დადებითი. ის ქვეყანა აგზავნის სპეციალურ რეისს მოქალაქის გასაყვანად. უცხო ქვეყნის მოქალაქე გვიან ღამით, თავის სამშობლოში დაბრუნდება. ანუ შემდგომში, კითხვები რომ არ იყოს, რატომ არის ერთით ნაკლები ინფიცირებული კლინიკაში.

მეორე მოქალაქეს ამერიკისა და საქართველოს მოქალაქეობა აქვს, მას არანაირი საეჭვო ნიშანი არ ჰქონია, გადაყვანილი იყო თვითიზოლაციის რეჟიმზე.

ხოლო მესამე პაციენტი რამდენიმე საათია, ქვეყანაში დაბრუნდა და ინფექცია დაუდასტურდა, მოგზაურობის ისტორიას ეპიდემიოლოგები სწავლობენ, – განაცხადა მიქელაძემ.

61 ინფიცირებული ადამიანიდან საქართველოში 8 გამოჯანმრთელებულია.

საქართველოში სასწავლო პროცესი 21 აპრილამდე გადაიდო

საქართველოში სასწავლო პროცესი კიდევ ერთხელ, ამჯერად 21 აპრილამდე გადაიდო.

ამის შესახებ საქართველოს მთავრობის 23 მარტს გამოცემულ 181-ე დადგენილებაშია აღნიშნული.

„საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2020 წლის 21 აპრილამდე შეჩერდეს სასწავლო პროცესი. ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებმა აღნიშნული განახორციელოს დისტანციური სწავლების/კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში).

2020 წლის 21 აპრილამდე საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ადმინისტრაციები გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე (კრიტიკულად მნიშვნელოვანი აუცილებლობის გარდა).

იკრძალება ყველა სახის ტრენინგი, კონფერენცია, სემინარი, გარდა დისტანციური ფორმისა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებების, ასევე პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების ვადები შეჩერებულად ჩაითვალოს საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე“ – წერია დადგენილებაში.

გარდა ამისა, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ იკრძალება ყველა ტიპის კულტურული ღონისძიების ჩატარება როგორც დახურულ, ისე ღია სივრცეში, მათ შორის, კონცერტები, სპექტაკლები, დროებითი და მუდმივი გამოფენები, რეპეტიციები, გასტროლები, მასტერკლასები, ტრენინგები და კონფერენციები, გარდა დისტანციური ფორმისა.

„იკრძალება ყველა ტიპის მასობრივი სპორტული ღონისძიება, მათ შორის, შეჯიბრი, სასწავლო-საწვრთნელი პროცესი/შეკრება, როგორც დახურულ, ასევე ღია სივრცეში, სპორტის თემასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ტრენინგი, სემინარი ან/და კონფერენცია, გარდა დისტანციური ფორმისა“ – ნათქვამია დადგენილებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გახარია ნორმალური მენეჯერი აღმოჩნდა“

თორნიკე შარაშენიძე: „ხელისუფლებამ შუალედური გზა აირჩია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში **თორნიკე შარაშენიძე** პასუხობს

– ბატონო თორნიკე, უკვე მესამე დღეა, საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს ქვეყანაში. რამდენად კარგად ართმევს თავს პროცესებს ხელისუფლება? ექსპერტთა ნაწილისგან მოვისმინე შეფასებები, რომ ივანიშვილი გაერიდა პროცესების მართვას და სახელმწიფო სახელმწიფოს დაემსგავსაო. რამდენად არის ასე?

– ივანიშვილისთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეს კონტროლი. რადგან პრობლემას არ უქმნიან, სხვა ყველაფერი მისთვის მეორეხარისხოვანია. რა თქმა უნდა, არც იმაშია დაინტერესებული, რომ ქვეყანა დაიქცეს, ასე რომ, სანამ ხელისუფლება, ასე თუ ისე, უმკლავდება პრობლემებს, ბუნებრივია, გვერდზე იქნება გამდგარი. არც უნდა ჩაერიოს.

– რამდენად სწორად მუშაობს ხელისუფლება?

– ჩემი აზრით, ნორმალურად. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ გაგვიმართლა და დაავადებათა კონტროლის ცენტრში, ლუგარის ლაბორატორიაში დასაქმებულები არიან პროფესიონალები. მოხდა ისე, რომ გადავრჩით და თავის დროზე პარტაქტივით არ გატენეს ეს ორი უწყება. დღეს იქ ძალიან კარგი პროფესიონალები მუშაობენ, სერიოზული ადამიანები, ამაში გაგვიმართლა ძალიან. ასევე გაგვიმართლა იმაშიც, რომ გახარია საკმაოდ ნორმალური მენეჯერი აღმოჩნდა.

ასევე გაგვიმართლა იმაში, რომ პატარა ქვეყანა ვართ. იმდენი ტურისტი ჩვენ არ გვყავს, რამდენიც ჰყავთ უფრო მდიდარ ქვეყნებს და პლუს ამას, ურბანიზებულიც იმდენად არ ვართ, ანუ მოსახლეობა ძალიან მჭიდროდ არ ცხოვრობს. ამ რამდენიმე ფაქტორის წყალობით, ჯერ-ჯერობით, ნორმალურად ვართ.

– ოპოზიციონერი ლიდერების ნაწილმა გააკრიტიკა ხელისუფლება საგანგებო მდგომარეობის შემოღების გამო. ხალხი არ უნდა დაეთხოვათ სამსახურებიდან, შიმშილით დაწყდებიან და ეკონომიკაც თავზე დაგვემხობაო. სად უნდა იპოვო ასეთ სიტუაციაში ზღვარი, რომ არც ერთი სფერო დააზიანო?

– ეს პრობლემაა სერიოზული, თუმცა ადამიანის ჯანმრთელობა უპირველესია. მე კარგად მახსოვს, სანამ შემოიღებდნენ საგანგებო მდგომარეობას, ერთი-ორი ოპოზიციონერი იჭაჭებოდა ტელევიზორში, რატომ არ აცხადებენო, გამოაცხადეს და რატომ გამოაცხადეთო.

გამოსავალი აქ არის შემდეგნაირი: ორი-სამი კვირით საგანგებო მდგომარეობა, ამასობაში იქნებ სიტუაცია გამოსწორდეს და მერე ეკონომიკას მიხედონ, როგორც ჩანს, ხელისუფლებამ ასეთი გამოსავალი მოძებნა. ასევე იყო მეორე გამოსავალი.

– რა გამოსავალი?

– საერთოდ დააიგნორონ, რომ არაფერი არ ხდება, ამითი ეკონომიკას ზიანი არ მიაყენო, მაგრამ ამ დროს სიტუაცია ვირუსთან მიმართებაში, შესაძლოა, ხელიდან გაგექცეს. ან თავიდანვე უნდა ჩაკეტო ყველაფერი.

ხელისუფლებამ კი აირჩია შუალედური გზა. თავიდანვე არ ჩაკეტა ყველაფერი, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ შემოიღო საგანგებო მდგომარეობა. მომავალში გამოჩნდება ამ ნაბიჯების სისწორე.

– ბატონო თორნიკე, არის კიდევ ერთი მტკივნეული თემა, ეკლესია. უკვე კეთდება შეფასებები, რომ თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის დაპირისპირება მივიღოთო. რას იტყვით თქვენ?

– ჯერჯერობით ვნახეთ, რომ არ გამოიწვია. ყველამ კარგად ვნახეთ, რომ გადამწყვეტ მომენტში სახელმწიფომ ისევ უკან დაიხია. არადა ძალიან სერიოზული საკითხი იყო. გადამწყვეტ მომენტში მაინც უკან დაიხია. ვერ გაბედა დაპირისპირება ეკლესიასთან.

– დაუთმო ეკლესიას?

– აბა რა ქნა?! აბა ამ სიტუაციაში ერთი კოვზით ზიარება რომ ნორმალური არ არის, ხომ ყველა ვხვდებით ამას?! როგორ შეიძლება ასეთ დროს ჰიგიენის ელემენტარული ნორმების არდაცვა, იმის იმედით, რომ ღმერთი გადამარჩენს.

– უფრო მკაცრად უნდა ჩარეულიყო სახელმწიფო?

– როგორმე უნდა დაერწმუნებინათ ეკლესია, რომ არ წასულიყო მსგავს რამეზე. არ შეიძლება ასეთ სიტუაციაში უკანდახევა იმის შიშით, რომ ეკლესიასთან ურთიერთობა არ გავიფუჭო. ეს არასწორია ძალიან და ამის შედეგები შესაძლოა მოვიმკოთ მალე.

– ბევრმა ქვეყანამ მიიღო, ეკლესიამ შეცვალა ზიარების წესი.

– დიახ, რეალურად ჩვენი ეკლესია დარჩა ერთადერთი. რუსეთს რომ დავცინით დღენიადაგ, რუსეთშიც აღარ ხდება მასობრივი თავშეყრა ეკლესიებში და აქ რა ხდება ეგეთი, რა არის ასეთი პრივილეგირებული ქართული ეკლესია, მართალი გითხრათ, ჩემთვის გაუგებარია.

საუბარია ასეთ სერიოზულ, მომაკვდინებელ ვირუსზე. დღეს ყველა არის იმის იმედზე, რომ დათბება და იქნებ ამან გვიშველოს, თუ ამასობაში ვაქცინაც არ მოიგონეს, არ ვიცით, რა იქნება. როცა ასეთი სიტუაციაა, ყველამ საღად უნდა იაზროვნოს. ეს სიტუაცია ბოროტად არავინ არ უნდა გამოიყენოს, პირველ რიგში, ბიზნესმა.

– პრემიერ-მინისტრმა სერიოზულად დაუქნია ხელი აირზენას.

– საგანგებო მდგომარეობის დროს ბიზნესმაც უნდა გაითვალისწინოს შექმნილი სიტუაცია. ამ დროს არ შეიძლება ხელის მოთბობა. ეს არასწორია ნამდვილად. მით უმეტეს, რომ ეს ქართული ავიაკომპანიები საკმაოდ ძვირია, ამდენი ნამდვილად არ უნდა ღირდეს, როცა კომფორტის ნასახიც კი არაა ამ რეისებზე და, მით უმეტეს, ასეთი კრიზისის დროს ფასების ასე აწევა ნამდვილად არ არის სწორი საქციელი, რბილად რომ ვთქვათ.

– ანუ გახარია სწორ ნაბიჯებს დგამს?

– თუ განახორციელებს ამ მუქარას, ძალიან კარგი იქნება. იმედი მაქვს, რომ განხორციელდება მკაცრი პოლიტიკა და ეს უბრალოდ მუქარად არ დარჩება. ისე, როგორც ეკლესიასთან მიმართებაში მოხდა.

ჩვენ ყველას იმედი გვქონდა, რომ რადგან საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა ეკლესიაში მასობრივ თავშეყრას თავიდან ავიცილებდით, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არ მოხდა, რაც ძალიან სამწუხაროა. ასე რომ, ლაპარაკი ლაპარაკად არ უნდა დარჩეს.

– მორწმუნეს ვერ დაუშლი ზიარებას და ეკლესიაში მისვლას, მაგრამ დღეს ალბათ თითოეული მოქალაქის თვითშეგნებაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

– რა თქმა უნდა, სწორედ მოსახლეობის თვითშეგნებაზეა. მოსახლეობის ნაწილი რომ არის დღეს ასე განწყობილი, რომ ღმერთი დამიფარავს და არაფერი არ დამემართება, ამიტომაც არის პრობლემები, თორემ მოსახლეობა რომ არ იყოს განწყობილი ასე, ეკლესია ამას ვერ იზამდა, ბუნებრივია.

ნინო ლომჯარია: „საგანგებო მდგომარეობის დროს რელიგიური შეკრებები იზღუდება, აღმსარებლობა კი — არა“

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების პირობებში რელიგიური შეკრებების შეზღუდვის საკითხს საქართველოს სახალხო დამცველი ეხმაურება.

როგორც ნინო ლომჯარია სოციალურ ქსელში წერს, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რწმენის, აღმსარებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იზღუდება საზოგადოებრივი თავშეყრა, რაც ასევე გავრცელდება რელიგიურ შეკრებებზეც:

„საზოგადოების ინფორმირებულობისთვის კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონი“, რომელიც პანდემია-ეპიდემიების დროს მოქმედებს, აცხადებს, რომ:

„მუხლი 5.

1. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია:

ა) არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას;

გ) შეწყვიტოს საქმიანობა, თუ ის საფრთხეს უქმნის საზოგადოების ჯანმრთელობას;

დ) დაიცვას სანიტარიული და ეპიდემიოლოგიური ნორმები;...“

შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის

რეკომენდაცია, რომ პანდემიის დროს ყველამ უნდა დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, შესასრულებლად საგანგებო მდგომარეობის დროსაც და მის გარეშეც არის სავალდებულო ყველასთვის, ფიზიკური პირებისთვისაც და ორგანიზაციებისთვისაც, მათ შორის რელიგიური ორგანიზაციებისთვის. ამ მუხლით შეიზღუდა და გაჩერდა მთელი რიგი დაწესებულებების საქმიანობა საქართველოში. ამ წესების დარღვევა ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

სახელმწიფო რელიგიური რიტუალების ან წესების ცვლილებას ვერ მოახდენს, თუმცა რელიგიური ორგანიზაციები არიან ვალდებულნი, ამ პროცესში არ განახორციელონ იმგვარი მოქმედება, რაც ქმნის გადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს და იწვევს რისკებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის.

რაც შეეხება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას, ამ დროს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს რწმენის, აღმსარებლობის შეზღუდვის შესაძლებლობას, თუმცა იზღუდება საზოგადოებრივი თავშეყრა, რაც ასევე გავრცელდება რელიგიურ შეკრებებზეც“, – წერს ნინო ლომჯარია.

ლაშა ჩხარტიშვილი: „კარანტინში მყოფ პირებს 500-500 ლარი უნდა დაურიგდეთ“

„ხელისუფლებამ საპატრიარქოს უნდა აუხსნას, რა საფრთხეზეა საუბარი“

ნათია ხურცილავა

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლაშა ჩხარტიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე საუბრობს.

– ლაშა, რამდენად უშვებთ, რომ საპარლამენტო არჩევნები გადაიდოს? პარლამენტში დეკრეტის დამტკიცების დროს პრეზიდენტმა არ გამორიცხა არჩევნების გადადება.

– ძალიან ადრეა ამაზე საუბარი. იმედი მაქვს, გონიერება ეყოფა ხელისუფლებას. ასე

ნაადრევი საუბარი არჩევნების გადადებაზე მათ ცუდ ოცნებებზე მეტყველებს. იმედი მაქვს, ამ ოცნებებს და ცდუნებებს არ აყვებიან.

ახლა არჩევნების გადადებაზე საუბარი ბევრი მიმართულებით არასწორია: ერთი, ეს ძალიან ამძიმებს საზოგადოებაში განწყობებს, რომ შეიძლება ოქტომბრამდე გასტანოს ვირუსმა. განწყობის თეორიის ქვეყანაში განწყობის ასე ბოროტად გამოყენება დანაშაულია.

მეორე, ეჭვებს აჩენს პოლიტიკურ სპეკულაციებზე. ეს ეჭვები პირადად მეც მიძლიერდება, როდესაც ვხედავ, რომ საგანგებო მდგომარეობის რეალურ ბერკეტს ვერ ან არ იყენებს ხელისუფლება.

– რას გულისხმობთ?

– რეალურად შეკრების, თავყრილობის უფლება არ იზღუდება. რასაც ვუყურებთ ეკლესიასთან მიმართებით. თავად მართლმადიდებელი ვარ და მიხარია ეკლესიის მხრიდან დადებითი მაგალითები. სასიხარულო იყო მეუფე გრიგოლის ინიციატივა სახლში ზიარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამიტომ, მთავრობამ უნდა აიღოს სრულად პასუხისმგებლობა.

საპატრიარქოსთვის კონკრეტულად უნდა აეხსნათ, რა საფრთხეზეა საუბარი, იმედი მაქვს, გაგებით მოეკიდებოდნენ და შეთანხმება მოხდებოდა. პირველ რიგში ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, დაიცვას საზოგადოების ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ეს უნდა გააცნობიერონ და შესაბამისად იმოქმედონ. იმედი მაქვს, ახლა მაინც მიაღწევს ხელისუფლება საპატრიარქოსთან შეთანხმებას.

ნებისმიერი შეკრება უმძიმეს რისკებს შეიცავს, ყოფნა-არყოფნის საკითხზეა საუბარი, ეს უნდა გავაცნობიეროთ ერმაც და ბერმაც.

სხვა მიმართულებითაც არის პრობლემები, რაც ხდება მსხვილ მარკეტებში, ხალხი რიგებში დგას, ამაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. მაქსიმალური იზოლაცია და საზოგადოებრივი დისტანცირება არის გადამწყვეტი. პრაქტიკულად ეფექტური ზომები არ ტარდება ამ მიმართულებით. თითქოს, პრემიერ გახარიას განცხადებით, დეკრეტით უნდა შეზღუდულიყო 10 კაცზე მეტის შეკრება, რაც არ ამოქმედდა. ეს შეზღუდვა გაქრა სხვადასხვა მიზეზით. არანაირი მიზეზი არ არსებობს ადამიანების სიცოცხლის გასაარისკად.

ჩვენ რეალური მიზეზი გვაქვს ეპიდემიური აფეთქების, თუ არ ამოქმედდება შეკრების შეზღუდვა. ამას ვამბობ, როგორც ბიოლოგი და არა როგორც პოლიტიკოსი. შეკრება იყო ვირუსის გავრცელების წინა მიზეზი, ახლაც, მარნეულის შემთხვევაშიც, შეკრება არის მიზეზი, უკვე საუბარია 1.700 კონტაქტზე.

გამოდის, რომ აქციებისა და მანიფესტაციების გარდა, არც არაფერი შეუზღუდავს ხელისუფლებას. ყველა სხვა სახის შეკრება, როგორც ჩანს, ნებადართულია. არადა, არანაირი აქციები არ ტარდებოდა და ოპოზიცია ამ გამოწვევას სრულიად ადეკვატური შეხვდა.

საგანგებო მდგომარეობა, რომელიც ხელისუფლებამ გამოაცხადა, არ აღიჭურვა ძირითადი უფლებით, რომელიც უნდა გამოეყენებინა მთავრობას. პირველ რიგში, ეს არის შეკრების მაქსიმალური შეზღუდვა ყველა გარემოში და, პირველ რიგში, დახურულ სივრცეში.

ხელისუფლება პრაქტიკულად უგულებელყოფს საკუთარ ვალდებულებებს ადამიანების სოციალურად დაცვის კუთხით.

– რას სთავაზობთ ხელისუფლებას ამ მიმართულებით?

– კარანტინში ადამიანებს არ სთავაზობდე არანაირ კომპენსაციას, წარმოუდგენელია. კარანტინის გამო ვინც დაკარგავს შემოსავლის წყაროს, ერთჯერადი 500-ლარიანი კომპენსაცია უნდა მისცეს სახელმწიფომ. ადამიანები უნდა გათავისუფლდნენ კომუნალური გადასახადებისგან. ასევე, სტუდენტები უნდა გათავისუფლდნენ სწავლის გადასახადისგან დროებით მაინც.

ეს თანხები ბიუჯეტში მოიძებნება. სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერებაც კი შეიძლება, რადგან ახლა მთავარია, ადამიანები არ დავტოვოთ ლუკმაპურის გარეშე. ახლა ადამიანების გადარჩენაზეა საუბარი.

ბრიტანეთი, ამერიკა, ყველა ცივილიზებული სახელმწიფო ასე მოიქცა. იმედი მაქვს, ჩვენს ხელისუფლებასაც ეყოფა გონიერება, რომ ამ მიმართულებითაც იფიქროს და ადამიანები უკვე საშიშშილო კარანტინისთვის არ გაიმეტოს.

ჯემალ გამახარია: „რუსეთი აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ისე არ ექცევა“

გულიკო ბალაძე

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა და ოკუპირებული აფხაზეთის ლიდერად ასლან ბჟანია აირჩიეს. ამასთან დაკავშირებით გავრცელებულ მიმართვაში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია „აფხაზი ხალხის თვითგანადგურებისკენ გადადგმულ საბედისწერო ნაბიჯზე“ საუბრობს.

„ახალი თაობა“ **ჯემალ გამახარიას** ესაუბრა.

– ბატონო ჯემალ, ოკუპირებულ აფხაზეთში კიდევ ერთი უკანონო, ე.წ. არჩევნები ჩატარდა. ე.წ. პრეზიდენტად ასლან ბჟანია აირჩიეს. როგორ აფასებთ ე.წ. არჩევნებს და ბჟანიას არჩევას?

– ეს ე.წ. არჩევნები ადრე ჩატარებული ე.წ. არჩევნებისაგან არაფრით განსხვავდება. მთელი საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს, რომ ეს არის უკანონო არჩევნები, რომელსაც სამართლებრივი შედეგი არ აქვს.

– არც სამართლებრივი საფუძველი აქვს.

– დიახ. ამიტომ არ ვაღიარებთ ამ არჩევნებს და მის შედეგებს. ვიცით, რომ ეს არის დე ფაქტო მოცემულობა, ამ ე.წ. არჩევნებზე იმედებს არ ვამყარებთ, მაგრამ ჩვენთვის სულერთი არ არის, საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელი რა პოლიტიკას გაატარებს ადამიანის უფლებების კუთხით, სამშვიდობო წინადადებებთან დაკავშირებით, რომელსაც ქართული სახელმწიფო ატარებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო არის, მაგრამ სამართლებრივად, მორიგი უკანონო არჩევნებია არა პრეზიდენტის (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით), არამედ საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელის შერჩევა.

– თუ დავაკვირდებით, აფხაზეთში არაერთი საოკუპაციო რეჟიმის ხელმძღვანელის მკვლელობა, მოწამვლა და ცვლილება განხორციელდა. ეს ბჟანიასაც ეხება, რომელიც არაერთხელ მოიწამლა. შეარჩევენ თუ აირჩევენ, მერე აუჯანყდებიან, გადაადგებენ, მერე ისევ ახალ ხელმძღვანელს შეარჩევენ, ისევ აუჯანყდებიან. რატომ ხდება ეს? რა პროცესია?

– თქვენ ძალიან საინტერესო შეკითხვა დასვით. რატომ ხდება, რომ ვიღაცას შეარჩევენ, შემდეგ საპროტესტო აქციები იმართება, გადაადგებენ. ფაქტობრივად, 2004 წლიდან ასე გრძელდება. არა მგონია, ბჟანიას არჩევით ეს პროცესი არ შეჩერდება. თუმცა, წინამორბედ ხაჯიმბასთან შედარებით, ბჟანია უფრო სერიოზული პიროვნებაა, უფრო ჭკვიანი ჩანს, მაგრამ ეს მას ვერანაირად ვერ იხსნის.

ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ აფხაზეთს, მიუხედავად იმისა, ის რუსეთის სახელმწიფოს მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდაა აღიარებული, არ მიიჩნევს დამოუკიდებელ სუბიექტად.

– რუსეთი აფხაზეთს არც ექცევა ისე, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

– დიახ, არც ექცევა ისე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო იმსახურებს. რუსეთის პოლიტიკა ყოველთვის აფხაზეთის ანექსიისკენ იყო მიმართული. რუსეთმა სცადა, აფხაზეთის ანექსია უმტკივნეულოდ განეხორციელებინა. აფხაზეთში მოქმედი დე ფაქტო ხელისუფლებისაგან უძრავი ქონების შესყიდვის უფლება მიეღო. წარმოიდგინეთ, რუსეთს უფლება რომ მისცენ, აფხაზეთში უძრავი ქონება შეისყიდონ რუსეთის მოქალაქეებმა, ერთ წელიწადში აფხაზეთი რუსეთის მიერ ნაყიდი იქნება.

– ღმერთმა ნუ ქნას, ასე მოხდეს.

– გარდა ამისა, რუსეთი აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებისაგან, ე.წ. პრეზიდენტებისაგან მოითხოვს, ისევე, როგორც აფხაზებს აქვთ უფლება, რუსეთის მოქალაქეობა მიიღონ და მერე თავისუფლად იარონ რუსეთში და აკეთონ, რაც უნდათ. ზუსტად ასევე რუსეთის მოქალაქეებს მიეცეთ უფლება, აფხაზეთის მოქალაქეები იყვნენ. წარმოიდგინეთ, რა მოხდება ერთ წელიწადში, თუ რუსეთის მოქალაქეები მიიღებენ უფლებას, გახდნენ აფხაზეთის მოქალაქეები. ამით აფხაზეთი ხომ დამთავრდა.

– ამაზე რუსები, ალბათ, ოცნებობენ.

– ეს აფხაზებმა იციან და ყველანაირად ცდილობენ, ეს უბედურება თავიდან აიცილონ, რადგან იციან, რომ თუ რუსების მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ, ერთ წელიწადში აფხაზეთი აფხაზეთი აღარ იქნება და იმ აფხაზეთში აფხაზების ადგილი არ იქნება. ეს აფხაზებმა იციან.

რადგან რუსეთს ამგვარი მეთოდებით ვერ გამოსდის აფხაზეთის ანექსია, ცდილობს აფხაზეთში იყოს მუდმივი არასტაბილურობა, მუდმივი შუღლი, დაპირისპირება და აფხაზები თვითონ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა არ შეუძლიათ და რუსეთთან შეერთებას დათანხმდნენ. ამიტომ არის აფხაზეთში მუდმივი დესტაბილიზაცია. ახლა წარმოიდგინეთ, დე ფაქტო მმართველები რა დღეში არიან.

– ბჟანია რუსეთის სურვილებს რომ შეეწინააღმდეგოს?

– მისი განცხადებებიდან ჩანს, რომ ბჟანია, ჯერჯერობით, მაინც რუსეთის სურვილების აღმსრულებელი არ არის. ამიტომ რუსეთი დაუპირისპირდება, არ დააფინანსებენ, ხალხს აუჯანყებენ. თუ ბჟანია რუსეთის სურვილების ასრულებას დათანხმდება, მაშინ ხალხი აუჯანყდება. აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელები ასეთ ორ ცეცხლს შუა არიან.

– ხაჯინბაც ასეთ დღეში იყო?

– იგივე დღეში იყო ხაჯიმბაც. ის დაჰპირდა რუსეთს, რომ ზემოთ ხსენებულ ორ საკითხზე კანონებს მიიღებდა. კანონში მოქალაქეობის შესახებ შეიტანდა ცვლილებებს და რუსებს ექნებოდათ უფლება, ყოფილიყვნენ ასევე აფხაზეთის მოქალაქეები და რუსები მიიღებდნენ უფლებას აფხაზეთში ქონება შეესყიდათ, თუმცა, ხაჯიმბამ ეს ვერ გააკეთა. შეიძლება უნდოდა, მაგრამ ვერ გააკეთა.

იგივეა ასლან ბჟანია. მას უნდა თუ არა ამ ორი საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტა, ჩემთვის ცნობილი არ არის, მაგრამ თუ ბჟანია ამას გააკეთებს, მას ხალხი გადააგდებს, თუ არ გააკეთებს, მაშინ რუსეთი გადააგდებს.

– თუ ასეა, რამდენ ხანს გაგრძელდება ბჟანიას მმართველობა?

– რამდენ ხანს გაგრძელდება ბჟანიას მმართველობა, ძნელი სათქმელია.

– მნიშვნელოვანია ის, როგორ დაიცავენ ქართველების უფლებებს ბჟანიას პირობებში. მითხრეს, რომ ბჟანია ქართული წარმომავლობისაა. ის უნდობლობა, რაც ბჟანიას მიმართ რუსეთის მხრიდანაა (რაც თუნდაც მისი მოწამვლით გამოჩნდა), იმითაც ხომ არ არის გამოწვეული, რომ აბსუური წარმოშობის არ გახლავთ?

– აფხაზთა უდიდესი უმრავლესობა, 70% მაინც ქართული წარმოშობისაა.

– ისტორიკოსი და პროცესორი თემურ მიბჩუანი ამბობდა, დღევანდელი აფხაზების 80% ქართული წარმოშობისაა.

– ის, რომ ბჟანია მოწამლული იყო, ორი აზრი არ არსებობს. ეს გერმანელმა მეცნიერებმაც დაადასტურეს. დარწმუნებული ვარ, ახლახან რაც მოხდა, ფაქტობრივად, ისიც მოწამვლა იყო. რუსეთს ბჟანია არ უნდოდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის ქართული წარმომავლობისაა. ასეთი აფხაზეთში უდიდესი უმრავლესობაა. აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელებს შორის არავინაა ისეთი, რომელიც რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგია. ყველა პრორუსული განწყობისაა. სხვა პოლიტიკის გატარება მათ არ შეუძლიათ.

უბრალოდ, რუსებს ყოველთვის ჰყავთ თავისი ფავორიტი ადამიანი, რომელსაც ენდობა, ბოლომდე იცავს ამ თავის ფავორიტს და ცდილობს მოწინააღმდეგეები ჩამოაშოროს. ასე მოხდა ხაჯიმბასა და ბჟანიასთან დაკავშირებითაც. ადრე ხაჯიმბა იყო რუსების ფავორიტი და მას ჩამოაშორეს ბჟანია, როგორც პიროვნება, რომელსაც შეეძლო მართლა კონკურენცია გაეწია ხაჯიმბასთვის და ის ჩამოეცილებინა ხელისუფლებისთვის. წარმომავლობას ამ შემთხვევაში, არა მგონია, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

– ადრე ისინი იყვნენ კატეგორიულები, ქართველებთან, საერთოდ, არანაირი დიალოგი არ უნდოდათ. ახლა რატომღაც ბჟანია (შამბაც) ამბობს, რომ ქართველებთან დიალოგი აუცილებელია. თუმცა, თან ამბობენ, რომ დიალოგი უნდათ, მაგრამ როგორც „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოს. რატომ აღარ არიან კატეგორიულები?

– ბჟანიამ ახლაც გააკეთა განცხადება. მოუწოდა საქართველოს, აღიაროს აფხაზეთი. როდესაც ისინი საუბრობენ დიალოგსა და მზადყოფნაზე, აწარმოონ დიალოგი საქართველოსთან, ეს გათვლილია, ჯერ ერთი, საერთაშორისო თანამეგობრობაზე. მათ სურთ, საერთაშორისო თანამეგობრობასთან გამოიყურებოდნენ, როგორც ცივილიზებული ადამიანები, რომლებსაც სურთ მოლაპარაკება. ეს ხომ კარგად ჟღერს.

ე.ი. მათი „ცვლილების“ ერთი მიზეზი საგარეო ფაქტორია, მეორე კი აფხაზეთის არა მარტო გალის ქართულ, არამედ აფხაზურ საზოგადოებაზე გავლენის მოპოვება. აფხაზური საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილის სურვილია საქართველოსთან ურთიერთობების აღდგენა (არ ვამბობ საქართველოს შეერთებას).

ამდენად, ქართველებთან დიალოგის შესახებ განცხადებებს აფხაზეთში ორმაგი დანიშნულება აქვს. ერთ-ერთმა კანდიდატმა არძინბამ გააკეთა განცხადება, რომ საქართველო არის მტერიო, მაგრამ ამან მას ქულები ვერ მოუტანა. საქართველოს ლანძღვა-გინება აფხაზეთში უკვე ქულების მომტანი არ არის. საქართველოსთან ურთიერთობის დამყარება და პრობლემების მოგვარება არის ქულების მომტანი. ველურმა ანტიქართულმა პოლიტიკამ, ე.წ. არჩევნების შედეგად, პროგრესი განიცადა.

მამა შალვა კეკელია: „სულ რომ სიკვდილი მემუქრებოდეს, ეკლესიას ვერასოდეს დავთმობ“

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება 10 კაცზე მეტის შეკრებას კრძალავს. შეზღუდვა ეკლესიასა და რელიგიურ რიტუალებსაც ეხება.

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას წინ უძღოდა საპატრიარქოში გამართული წმინდა სინოდის სხდომა, სადაც გადაწყვიტეს, რომ წმინდა ზიარების წესი არ შეიცვლებოდა. მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს რიტუალი, შესაძლოა, მასშტაბური ეპიდემიის გამომწვევი იყოს.

– საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო. ძალიან გამიჭირდება, რომ ვთქვა, მოხდება ყველას გაფრთხილება, რომ ახლა რეგულაციები შემოვიდა სახელმწიფოში. ეკლესია არ დაიკეტება, – განაცხადა ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტმა, მეუფე გერასიმემ.

– ასეთ დროს უფრო ხშირად ეზიარებიან ადამიანები. აღდგომა დღეს რაც შეეხება, მე რომ, მაგალითად, მღვდელი არ ვიყო და ერის კაცი ვიყო, აღდგომა დღეს წირვას ვერ გავაცდენ, სულ რომ სიკვდილი მემუქრებოდეს, მე ვერასოდეს ვერ დავთმობ ეკლესიას. აღდგომა დღეს სახლში ვერ დავრჩები. აღდგომა არის ყველა ქრისტიანისთვის. მირჩევნია მოვკვდე ხორციელად, ვიდრე აღდგომა დღეს წირვაზე არ წამოვიდე, – აღნიშნა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა, მამა შალვამ.

მრევლის პოზიცია ორად გაიყო. ერთი ნაწილისთვის გადაწყვეტილება და გარკვეული შეზღუდვების დაწესება მისაღებია, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ წესებს არ დაემორჩილება.

– ჩემი უფლებები არ დაირღვევა?! მე რომ მინდა წირვაზე მოსვლა და მიკრძალავთ, ეს როგორ. მორწმუნე ვარ და უფლის უფრო მეშინია, ვიდრე ინფექციის, – განაცხადა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

– შეზღუდვა თუ დაწესდება და კანონი აკრძალავს, ალბათ ეკლესია შესაბამის ზომას მიიღებს. ისე, გუშინ წმინდა სინოდმა მოგვცა რეკომენდაცია, რომ გარეთაც შეგვიძლია დავდგეთ და შესაბამისად დავანთოთ სანთელი. ჩემი აზრით სახლშიც შესაძლებელია ეს ყველაფერი, – აღნიშნა ეკლესიის მრევლის სხვა წევრმა.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია გახდა გამართავს თუ არა ბჟანია დიალოგს თბილისთან?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებულ აფხაზეთში 22 მარტს ჩატარებული ფაქტობრივი განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების თანახმად, აფხაზეთის ახალი ლიდერი ასლან ბჟანია გახდა.

კორონავირუსს არჩევნების ჩატარებისთვის ხელი არ შეუშლია. საარჩევნო უბნები, აფხაზეთის გარდა, რუსეთის ფედერაციის ორ ქალაქში – მოსკოვსა და ჩერკესკში იყო გახსნილი.

არჩევნების პარალელურად, აფხაზეთში მსოფლიოში პანდემიად აღიარებულ ვირუსსაც ებრძვიან. მის წინააღმდეგ ბრძოლის და დიაგნოსიტირების საშუალებები რეგიონში საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის თხოვნით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტებმა ჩაიტანეს.

არჩევნებმა, რომლის ლეგიტიმურობას არ აღიარებს ოფიციალური თბილისი, მშვიდად ჩაიარა. ასლან ბჟანიას გამარჯვება მიულოცა მისმა კონკურენტმა, ადგურ არძინბამ.

– ჩვენ დავიმსახურეთ ახალი აფხაზეთი. ამას დიდი ხანია, ველოდებით. დარწმუნებული ვარ, ხვალიდან დაიწყება გარდაქმნები, რომლებსაც მთელი აფხაზი ხალხი ელის, – განაცხადა ადგურ არძინბამ.

აფხაზეთის საზოგადოებაში მსჯელობენ მოსკოვისა და ჩერკესკის შედეგებზე. მოსკოვში დამაჯერებლად გაიმარჯვა ბჟანიამ, ჩერკესკში კი – არძინბამ.

ამას აფხაზები ახსნას უძებნიან. მათი აზრით, ბჟანიას და მის მოკავშირე ანქვაბს მოსკოვში დიდი გავლენა და ბიზნესი აქვთ, ხოლო ჩერკესკი ხაჯიმბას სახელს უკავშირდება.

არძინბა არჩევნებში ჩართვამდე ხაჯიმბას ხელისუფლების ვიცე-პრემიერი და ეკონომიკის მინისტრი იყო.

ხაჯიმბა საზოგადოების ზეწოლით განმეორებით არჩევნებამდე გადადგა პრეზიდენტის პოსტიდან და განმეორებით არჩევნებში მონაწილეობა ვერ გაბედა.

როგორც ჩანს, ხაჯიმბას გუნდის წევრები მას პოლიტიკურ საფლავში არ ჩაჰყვებიან და ახალ ადმინისტრაციასთან ითანამშრომლებენ.

თუმცა, ამით აფხაზეთის საზოგადოებაში არსებული უთანხმოება არ დაიძლევა. ამისათვის ბჟანიას და მის გუნდს მუშაობა მოუწევს. ამავე გუნდს მოუწევს დისკრიმინაციაში მყოფი ქართველების მდგომარეობის გაუმჯობესება.

გამართავს თუ არა ბჟანია დიალოგს თბილისთან? ამის სურვილი მან იანვრის შუა რიცხვებში გამოთქვა. მას შემდეგ ამის გამო თანამემამულეებისაგან ბევრი საყვედური მიიღო.

თუ ასლან ბჟანია ვინმეს ზეწოლის ქვეშ არ მოექცევა, სოხუმსა და თბილისს შორის დიალოგის დაწყება შესაძლებელია.

ასლაბ ბჟანია თავის მიზნად ასახელებს სრულფასოვანი სახელმწიფოს მშენებლობას. მისი შეფასებით, ეს გახდა აფხაზი ხალხის მთავარი აზრი 1992-1993 წლების ომში.

– ამ სანუკვარ მიზნამდე მისვლა შეუძლებელია ხელისუფლებისა და საზოგადოების კონსოლიდირებული მუშაობის, ძალებისა და საშუალებების მობილაზაციის, გააზრებული და ხშირად არაპოპულარული გადაწყვეტილებების გარეშე, – განაცხადა მან.

ასლან ბჟანიასთვის აფხაზეთის „სუვერენიტეტი და ნამდვილი დამოუკიდებლობა“ მიიღწევა მყარი ეროვნული ეკონომიკით. ეს ეკონომიკა ვერ იქნება ბაზირებული მხოლოდ საგარეო დახმარებაზე.

მისი სიტყვებით, მყარი ეროვნული ეკონომიკისთვის აფხაზეთს საკმარისი რესურსები აქვს.

შესაძლოა, ამ პოტენციალში იგულისხმება აფხაზეთის ნავთობისა და ნახშირწყლების მარაგები და მათი ამოქმედება.

რუსეთის ე. წ. პირველი ელჩი აფხაზეთში სემიონ გრიგორიევი 22 მარტს გამართულ არჩევნებს ისტორიულ დღეს უწოდებს.

მისი შეფასებით, ამ დღის შემოქმედი თვითონ აფხაზი ხალხია. იგი ხაზს უსვამს ასლან ბჟანიას მისწრაფებას და სიმტკიცეს, ასევე ძლიერ გენეტიკას. დიპლომატის აზრით, ალექსანდრე ანქვაბი პრემიერი უნდა იყოს, ვინაიდან ის თავისი ბუნებით აღმშენებელია.

არსებობს აზრი, რომ აფხაზეთში 2020 წლის იანვარში აგორებული მოვლენები 2014 წლის „რევოლუციის“ ანალოგიაა.

იმ მოვლენების დროს პრეზიდენტი ანქვაბი აიძულეს, გადამდგარიყო.

ასლან ბჟანია ამგვარ პარალელებს არ ეთანხმება. მისი შეფასებით, ალექსანდრე ანქვაბის არჩევა და მისი ლეგიტიმურობა ეჭვს არ იწვევდა. ხაჯიმბას ლეგიტიმურობას თითქმის არავინ აღიარებდა. 2014 წელს შეიქმნა არაკონსტიტუციური ორგანო – ეროვნული საბჭო. მაშინ პროცესებს პარტიები წარმართავდნენ. 2020 წელს ქუჩაში გამოვიდნენ დახოცილი ადამიანების ნათესავები, რომელთა მკვლელობის საქმეები ჩაიფარცხა.

ბოლოდროინდელი მოვლენების ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი „დონეცკის რესპუბლიკის“ გმირი ახრა ავიძბაა.

ავიძბა, საზოგადოებრივ არენაზე, სავარაუდოდ, მომავალშიც გამოჩნდება. ასევე მოსალოდნელია მოსკოვში დაწინაურებული ახალგაზრდა მოხელის, ინალ არძინბას, გააქტიურება მშობლიურ რესპუბლიკაში.

ბესიკ თამლიანი ციხიდან გამოუშვეს

მას 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა

20 ივნისის საქმეზე ბრალდებული ბესიკ თამლიანი თითქმის, 9-თვიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლეს.

აღნიშნულის შესახებ ინტერპრესნიუსს თამლიანის ადვოკატმა ლევან იოსელიანმა განუცხადა. გუშინ, 23 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე იაშვილმა ბესიკ თამლიანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 4.000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა.

ადვოკატის თქმით, აღნიშნულის მიზეზი დაცვის მხარისთვის დაცვის ეფექტური განხორციელების საშუალების მიცემაა, ვინაიდან ბესიკ თამლიანს 9-თვიანი საპატიმრო ვადა 4 აპრილს ეწურებოდა, ამ პერიოდის განმავლობაში კი დაცვის მხარე მოწმეების დაკითხვას ვერ მოასწრებდა.

ბესიკ თამლიანი სასამართლო პროცესს არ დასწრებია, ვინაიდან ის სხდომათა დარბაზიდან გაძევებული იყო. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც თამლიანს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსამართლის განჩინება ჩაბარდება, ის საპყრობილეს დატოვებს.

ცნობისთვის, 20 ივნისის საქმეზე დაკავებულ ბესიკ თამლიანს ბრალად ედება ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობა, რასაც თან ახლდა რბევა, ძალადობა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

აღნიშნული ბრალი 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მესტიაში მოზარდს იარაღი გაუვარდა

მოზარდი გარდაიცვალა

უბედური შემთხვევა მოხდა მესტიის მუნიციპალიტეტში, სადაც არასრულწლოვანი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, მოზარდს იარაღი გაუვარდა. ის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა საავადმყოფოში გადაიყვანა. მედიკოსების დახმარების მიუხედავად, მოზარდის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც მესტიის საავადმყოფოში „ინტერპრესნიუსს“ განაცხადეს, მოზარდს ნაფლეთოვანი ჭრილობა მუცლის არეში აღენიშნებოდა და ის შემოყვანისას უკვე გარდაცვლილი იყო.

– ვერ გეტყვით, რით იყო მიყენებული ჭრილობა. ამას ექსპერტიზა დაადგენს. დაახლოებით სამი საათის წინ თვითდინებით შემოიყვანეს, მაგრამ ის უკვე გარდაცვლილი იყო. სახლში მიასვენებენ, ოჯახმა ექსპერტიზაზე უარი განაცხადა, – ამბობენ საავადმყოფოში.

როგორც ინტერპრესნიუსს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის 116-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სხდომა დისტანციურ რეჟიმში გამართა

გუშინ, 23 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ყაჩაღობის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების სხდომა დისტანციურ რეჟიმში გამართა. პროცესის მონაწილე მხარეები, მათ შორის ბრალდებულები, შუამდგომლობის განხილვაში დისტანციურად მონაწილეობდნენ.

– ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, სასამართლო სისტემა ეტაპობრივად საქმეთა განხილვის დისტანციურ რეჟიმზე გადადის და შემჭიდროებული ვადების მქონე საქმეებს მაქსიმალურად დისტანციურად განიხილავს.

აღნიშნული სერვისით სასამართლო უზრუნველყოფს პროცესის მონაწილე მხარეთა ჯანმრთელობის დაცვას და ამავდროულად, სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მარნეულსა და ბოლნისში ვითარება კონტროლს ექვემდებარება

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება

მარნეულსა და ბოლნისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში შექმნილი ვითარება დამაკმაყოფილებელია და კონტროლს სრულად ექვემდებარება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში საკარანტინო შეზღუდვები მოქმედებს.

მუნიციპალიტეტებში მოსახელობისთვის ცხოვრების ჩვეული რიტმის ცვლილებამ შექმნა უჩვეულო სიტუაცია, რის გამოც ადგილობრივი მოქალაქეები რიგ შემთხვევებში გარკვეულ შფოთს გამოხატავენ. თუმცა მათთან მუშაობენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ისინი სრულ მზადყოფნაში არიან მოსახლეობის მხარდაჭერისთვის.

მარნეულსა და ბოლნისში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში, საკარანტინო შეზღუდვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, 24 საათის განმავლობაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან კოორდინაციით, თავდაცვის ძალებთან ერთად, საგანგებო რეჟიმში აკონტროლებენ. ამ დროისათვის, მუნიციპალიტეტებში შექმნილი ვითარება დამაკმაყოფილებელია და კონტროლს სრულად ექვემდებარება.

რეგიონში გადაადგილება ძირითად გზებზე განთავსებული 12 საკონტროლო გამშვები საგუშაგოს საშუალებით კონტროლდება. ასევე, კონტროლდება მეორეხარისხოვანი გზები, სადაც განთავსებულია მობილური საგუშაგოები. მუდმივი კონტროლი ხორციელდება მობილური ჯგუფების მეშვეობითაც.

საკარანტინო პირობები მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, მათ შორის, მოქალაქეთა შესვლისა და გამოსვლის შეზღუდვას ითვალისწინებს. ქალაქში შემსვლელ და გამსვლელ საგანგებოდ მოწყობილ სპეციალურ გამშვებ პუნქტებზე კონტროლს პოლიცია და თავდაცვის ძალები ახორციელებენ.

მდგომარეობიდან გამომდინარე მოვუწოდებთ მოსახლეობას, შეინარჩუნონ სიმშვიდე და შეასრულონ მთავრობის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

საგამოძიებო სამსახურმა ონლაინ კაზინოების პროვაიდერი „ევოლუშენ გეიმინგი“ დახურა

რამდენიმე თანამშრომელს მაღალი ტემპერატურა აღენიშნებოდა

საგამოძიებო სამსახურმა, პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტით დადგენილი შეზღუდვების შეუსრულებლობის გამო, თბილისში კომერციული ობიექტი დახურა, რომელშიც 600-მდე თანამშრომელი იყო დასაქმებული.

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, მიღებული შეტყობინებების საფუძველზე, საქართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე დადგენილი შეზღუდვების შეუსრულებლობის გამო, ქალაქ თბილისში, მესაკუთრეს დაახურინეს კომერციული ობიექტი, რომელში დასაქმებული 600-მდე თანამშრომელი, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლად, მთავრობის მიერ დადგენილი მკაცრი შეზღუდვების უხეში დარღვევით, განაგრძობდა მუშაობას.

ამასთან, კომპანიაში დასაქმებულ, ადგილზე მყოფ რამდენიმე თანამშრომელს აღენიშნებოდა მაღალი ტემპერატურა. შესაბამი უწყებები აქტიურად ახორციელებენ მონიტორინგს საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე დადგენილი შეზღუდვების შესრულების ნაწილში და მსგავსი ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, მოახდენენ მკაცრ რეაგირებას“ – ნათქვამია საგამოძიებო სამსახურის განცხადებაში.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ეს კომპანია ონლაინ კაზინოების პროვაიდერი „ევოლუშენ გეიმინგია“.

როგორც „ინტერპრენიუსთან“ საუბრისას კომპანიის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, მათი თანამშრომლები, რომლებსაც ტემპერატურა დაუფიქსირდათ, მარნეულის მცხოვრებლები არიან და სამსახურში 22 მარტამდე დადიოდნენ.

მისივე ინფორმაციით, აღნიშნული პირები, სავარაუდოდ, საავადმყოფოში არიან მოთავსებულები.

– ჩვენ ჯერჯერობით ინფორმაცია საერთოდ არ გვაქვს, რატომ დაგვკეტეს და რა მოხდა, ვიცი, რომ გვყავდა მარნეულელი თანამშრომლები, რომლებიც გუშინდლამდე ჩვეულებრივ მუშაობდნენ და უახლესი მოვლენების გათვალისწინებით, საფრთხეს შეიცავდა მუშაობა. მე ვისაც ვესაუბრე შენობაში, მითხრეს, სამთავრობო სამსახურებმა, ანუ, სავარაუდოდ, საგამოძიებოს გულისხმობდნენ, დაგვხურეს, არაა უსაფრთხო გარემოო.

გიდასტურებთ, რომ სიცხიანი თანამშრომელი აღმოაჩინეს, მაგრამ აქვს თუ არა კორონავირუსი, არ დადასტურებულა.

როგორც ადგილზე გავიგე ეს თანამშრომლები საავადმყოფოში გადაიყვანეს. ჯერჯერობით ოფიციალური ინფორმაცია, რატომ და რამდენი ხნით დავიკეტეთ, არაა ცნობილი, – განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მისი თქმით, სანამ კომპანიას საგამოძიებო სამსახური დახურავდა, მის დაკეტვას მენეჯმენტი არ აპირებდა და მხოლოდ სამსახურში დისტანცირების წესების შემოღებით შემოიფარგლა.

– მითითებები არავისგან ჯერჯერობით არ მიგვიღია, მეტიც, დაკეტვას არ აპირებდნენ, შემოიღეს დისტანცირების წესები, რიგში თუ გასახდელში, საჭმელ თუ მოსაწევ ადგილებში გვეკრძალებოდა 1 მეტრზე ახლოს მიახლოება ერთმანეთთან და დღეს დახურა საგამოძიებომ, თორემ თვითონ არ მიუღიათ ეგ გადაწყვეტილება. თავადაც ცოტა დაბნეულები იყვნენ. ერთადერთი გვითხრეს, წადით სახლში და დაელოდეთ ოფიციალურ განცხადებასო.

რაც შეეხება თვითიზოლაციას, თანამშრომელთა უმრავლესობამ დამოუკიდებლად მივიღეთ ეგ გადაწყვეტილება და ორი კვირით ვრჩებით სახლში, – განაცხადა ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

მარნეულში საველე ჰოსპიტალი მოეწყო

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა მარნეულში საველე ჰოსპიტალი მოაწყო.

მთავრობის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში საველე ინფრასტრუქტურის მოწყობა დაევალა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები, საველე ჰოსპიტალის მოწყობის მიზნით, მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდნენ.

საველე ჰოსპიტალის გარდა, ადგილზე მოეწყო სპეციალური სივრცე, სადაც ინტენსიურად მოხდება იმ პერსონალის დეზინფექცია, ვისაც შეხება ექნება საველე ჰოსპიტალში მყოფ პირებთან.

შესაბამის სამუშაოებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ ინციდენტებზე რეაგირების ჯგუფები ჩაატარებენ.

ჰოსპიტალის მოწყობის სამუშაოებს ადგილზე სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი ხელმძღვანელობდა. მარნეულში იმყოფებოდა მისი მოადგილე ლევან ღირსიაშვილი, სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის და ქბრბ სამმართველოს ხელმძღვანელები.

მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში 12 საკონტროლო გამშვები საგუშაგოა მოწყობილი

მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში 12 საკონტროლო გამშვები საგუშაგოა მოწყობილი საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მაღალი ეპიდემიოლოგიური რისკის გამო, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებულ მკაცრ საკარანტინო შეზღუდვებს მარნეულსა და ბოლნისში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები 24 საათის განმავლობაში, საგანგებო რეჟიმში აკონტროლებენ.

რეგიონში ძირითად გზებზე განთავსებულია 12 საკონტროლო გამშვები საგუშაგო, რომელთა დახმარებითაც რეგიონში მოძრაობა კონტროლდება. ასევე, კონტროლდება მეორეხარისხოვანი გზები, სადაც განთავსებულია მობილური საგუშაგოები. მუდმივი კონტროლი ხორციელდება მობილური ჯგუფების მეშვეობითაც. საკარანტინო პირობები მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, მათ შორის, მოქალაქეთა შესვლისა და გამოსვლის შეზღუდვას ითვალისწინებს. ქალაქში შემსვლელ და გამსვლელ საგანგებოდ მოწყობილ სპეციალურ გამშვებ პუნქტებზე კონტროლს პოლიცია და თავდაცვის ძალები ახორციელებენ.

დონალდ ტრამპმა კიმ ჩენ ინს თანამშრომლობა შესთავაზა

აშშ-ის პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინს პერსონალური წერილი გაუგზავნა და კორონავირუსთან ბრძოლის დროს თანამშრომლობა შესთავაზა. წერილში ამერიკის ლიდერი ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარების გაუმჯობესებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. საკითხზე კომენტარი გააკეთა კიმ ჩენ ინის დამ და აღნიშნა, რომ „სირთულეებმა და გამოწვევებმა ურთიერთობების განვითარებას გაუხსნა გზა“. გასულ თვეში სახელმწიფო დეპარტამენტში აღნიშნეს, რომ ისინი მზად არიან, ფხენიანს კორონავირუსთან გამკლავებაში დაეხმარონ.

ამ დროისთვის, ოფიციალური მონაცემებით, ჩრდილოეთ კორეაში კორონავირუსის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

ანგელა მერკელი თვითიზოლაციაში გადავიდა

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი თვითიზოლაციაში გადავიდა.

20 მარტს ანგელა მერკელი შეხვდა ექიმს, რომელმაც მას ფილტვების ანთების საწინააღმდეგო ვაქცინა აჩვენა.

22 მარტს კი, პრესკონფერენციის შემდეგ, ანგელა მერკელს შეატყობინეს, რომ იმ ექიმის კორონავირუსზე ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

ამის შემდეგ ანგელა მერკელმა საკუთარ სახლში თვითიზოლაციაში გადასვლა გადაწყვიტა.

თვითიზოლაცია რამდენიმე დღეს გასტანს. მერკელი კორონავირუსზე ტესტსაც ჩაიტარებს.

ჩინეთში კორონავირუსის შიდა გავრცელება აღარ ფიქსირდება

ჩინეთის ძირითად ტერიტორიაზე კორონავირუსის იმპორტირებული შემთხვევები იზრდება, მაშინ როცა, უკვე მეხუთე დღეა, ადგილობრივი გავრცელების არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა.

კორონავირუსი 22 მარტს ქვეყანაში შეესულ 39 პირს დაუდგინდა.

ეს ადამიანები ჩინეთის მოქალაქეები არიან, რომლებიც სამშობლოში დაბრუნდნენ.

ამ დროისთვის ჩინეთში დაფიქსირებული 81.093 შემთხვევიდან 72.703 ადამიანი უკვე გამოჯანმრთელდა. ქვეყანას ამჟამად კორონავირუსით ინფიცირებული 5.120 პაციენტი ჰყავს.

გუშინ, 23 მარტს, სამხრეთ კორეაში 29 თებერვლის შემდეგ კორონავირუსის შემთხვევების ყველაზე დაბალი რაოდენობა დაფიქსირდა.

ქვეყნის დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ცენტრის ინფორმაციით, ახალი შემთხვევების რაოდენობამ ორშაბათს 64 შეადგინა, რაც რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია.

ამ დროისთვის სამხრეთ კორეაში კორონავირუსის სულ 8.961 შემთხვევაა დაფიქსირებული, გარდაცვლილთა რაოდენობამ კი 111-ს მიაღწია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა სარდაფი დაალაგა და უამრავი ტუალეტის ქაღალდი აღმოაჩინა

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის მკვიდრმა ფარდულში ასეულობით ორმოცი წლის წინანდელი ტუალეტის ქაღალდის შეკვრა აღმოაჩინა.

მაიკლ გუირგისი კარანტინის დროს გარდაცვლილი მამის ძველ ფარდულს ალაგებდა და იქ 270 შეკვრა ორმოცი წლის წინანდელი ტუალეტის ქაღალდი იპოვა. მამაკაცის თქმით, მამამისი ავსტრალიაში ეგვიპტიდან გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ჩამოვიდა და მისი გარდაცვალების შემდეგ სახლში დარჩა ფარდული, რომელიც ძველი ნივთებით იყო ავსებული. ათი წლის მანძილზე მისი დალაგება არავის უცდია და ტუალეტის ქაღალდებიც ამიტომაც დარჩა შეუმჩნეველი.

– როდესაც ეს შეკვრები აღმოვაჩინე, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ ჯეკპოტი მოვხსენი, – აღიარა გუირგისმა. მან გადაწყვიტა, რომ ტუალეტის ქაღალდებს სრულიად უფასოდ დაურიგებს ყველას, ვისაც ის სჭირდება, ვინაიდან კორონავირუსის გამო დაწყებული პანიკის შედეგად, მაღაზიების დახლები ტუალეტის ქაღალდისგან დაცარიელდა.

ძაღლმა 20 ლეკვი დაბადა

ბრიტანეთში ძაღლმა 20 ლეკვი დაბადა და ცოცხალი გადარჩა. ამის შესახებ, მისმა პატრონმა ემბერ რისმა ერთ-ერთ ადგილობრივ ტელეარხს განუცხადა.

ძაღლის პატრონის თქმით, ეს მისი ორი წლის ბულდოგის, სახელად კალისთვის პირველი მაკეობა იყო. მისი მტკიცებით, გაშუქების დროს ვეტერინარმა მხოლოდ 6-8 ლეკვი დაინახა. თუმცა, როდესაც ძაღლს მშობიარობა დაეწყო, ნანახმა ქალი გააოგნა. მერვე ლეკვის დაბადების შემდეგ კალიმ ლეკვების გაჩენა გააგრძელა. როდესაც მე-12 ლეკვი დაიბადა, კალიმ მცირე ხნით შეაჩერა გაჩენა და ის ვეტერინართან წაიყვანეს. შემდეგ მან კიდევ რვა ლეკვი დაბადა. ქალის თქმით, 20 ლეკვიდან ცხრა დაიღუპა.

ძაღლის პატრონის თქმით, უკვე დაიწყო ლეკვებისთვის სახელების შერჩევა. მან გადაწყვიტა, რომ ერთ-ერთს ბემბი დაარქვას, ხოლო მდედრი ლეკვისთვის არიელის დარქმევას აპირებს.

ქალმა მილიონი დოლარი საკუთარ დაბადების დღეს მოიგო

ამერიკის ვირჯინიის შტატის ქალაქ სტერლინგის მცხოვრებმა ქალმა ლატარიაში მილიონი დოლარი საკუთარ დაბადების დღეს მოიგო.

ხუთ მარტს რობინ ლაულერი დაბადების

დღეს ზეიმობდა და გადაწყვიტა, მომენტალური ლატარიის ბილეთი შეეძინა. მაღაზიიდან გამოსულმა ბილეთზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ ლატარიის გამარჯვებული გახდა.

თავდაპირველად რობინმა იფიქრა, რომ 600 დოლარი მოიგო, თუმცა, მალევე მიხვდა, რომ ის მთავარი პრიზის მფლობელი გახდა, რომელიც მილიონ დოლარს შეადგენდა.

– გავშეშდი, ბილეთს დავხედე და წამოვიძახე: „ეს რა არის?“ – იხსენებს ამერიკელი ქალბატონი.

ლატარიის გათამაშების წესების თანახმად, გამარჯვებულს მთლიანი თანხის მიღება მხოლოდ ნაწილ-ნაწილ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლიათ, ხოლო ფულის მაშინვე მისაღებად გამარჯვებულს მის ნაწილზე უარის თქმა მოუწევს. ლაულერმა მეორე ვარიანტი ამჯობინა და 601,7 ათასი დოლარი მიიღო.

გოგონამ პლაჟზე მსოფლიოში ყველაზე დიდი ზღვის ზღარბი იპოვა

მექსიკაში მოგზაურობისას კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიის მკვიდრმა გოგონამ ბრტყელი ფარისებური ზღვის ზღარბის ბაკანი იპოვა, რომლის დიამეტრი 16,5 სანტიმეტრი აღმოჩნდა და გენესის რეკორდსმენი გახდა.

მეოთხეკლასელმა ნეკო ვონგმა რეკორდულად დიდი ზომის მკვდარი ცხოველი, რომლის წონამ 51 გრამი შეადგინა, მექსიკის პლაჟზე იპოვა. მან გადაწყვიტა, რომ ის გენესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებისთვის ეჩვენებინა. ექსპერტებმა მთელი რიგი შემოწმებები ჩაატარეს და დაადგინეს, რომ გოგონას მიერ ნაპოვნი ბრტყელი ფარისებური ზღვის ზღარბი ყველაზე დიდია მსოფლიოში.

ნეკოს დედამ აღნიშნა, რომ მისი გოგონა ნაპოვნის სკოლაში წარდგენას გეგმავდა, მაგრამ იმის გამო, რომ სკოლა კარანტინის გამო დაკეტილია, ამის გაკეთებას მალე ვერ შეძლებს.

მამაკაცმა მეგობარი სამსახურში მიიყვანა და მილიონერი გახდა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ შელბის მცხოვრებმა მეგობარი სამსახურში მიიყვანა, ხოლო ამ მომსახურებისთვის მიღებული ანაზღაურებით ლატარიის ბილეთები შეიძინა და ოთხი მილიონი დოლარი მოიგო.

პენსიაზე მყოფ მეხანძრე კენეტ კრიუსს ზოგჯერ მეგობარი, რომელსაც თავად არ ჰყავს ავტომობილი, სამსახურში მიჰყავდა. ჩვეულებრივ ის უარს ამბობდა ფულზე, რომელსაც მეგობარი ამის სანაცვლოდ სთავაზობდა, მაგრამ ერთხელ, წვიმიან ამინდში. მან დაჟინებით მოსთხოვა კრიუსს, რომ მას 60 დოლარი გამოერთმია და ამ ფულით ლატარია ეთამაშა.

კრიუსმა მეგობრის რჩევა ყურადღება მიაქცია და ადგილობრივ მაღაზიაში სამი ცალი 20-დოლარიანი ლატარიის ბილეთი შეიძინა. პირველმა ბილეთმა მას არაფერი მოუტანა. მეორე ბილეთმა 30 დოლარი მოიგო, მესამემ კი ჯეკპოტი – ოთხი მილიონი დოლარი მოხსნა.

კრიუსი ამ თანხით ახალი სახლის აშენებას აპირებს, ხოლო ნათესავებს ვალების გასტუმრებაში დაეხმარება.

ოქროს თევზმა აკვარიუმში ყველა შეჭამა და უზარმაზარი ზომის გახდა

ამერიკის ილინოისის შტატის ქალაქ ჩიკაგოს მკვიდრი ქალბატონის კუთვნილმა საკარნავალო ოქროს თევზმა ყველა თავისი თანამოძმე შეჭამა და სიგრძეში 30 სანტიმეტრამდე გაიზარდა.

2018 წლის ივლისში 28 წლის ალექსანდრია მილერმა კარნავალზე ოქროს თევზი მოიგო. მისი სიგრძე ხუთ სანტიმეტრსაც კი ვერ აღწევდა. მან თევზი სახლში პოლიეთილენის პაკეტით მიიყვანა და სახელად ჯერალდი დაარქვა.

ორი წლის განმავლობაში ჯერალდმა სიგრძეში 30 სანტიმეტრს მიაღწია და ყველა თანამოძმე შეჭამა, რომლებიც კი მასთან აკვარიუმში მოათავსეს. მილერი იძულებული გახდა, ის იზოლაციაში ჰყოლოდა. მან 1,3 ათასი დოლარი დახარჯა თავისი ოქროს თევზისთვის ახალი აკვარიუმების შესაძენად.

მილერის თქმით, ჯერალდს ძალიან უყვარს ჭამა.

– დროის დიდ ნაწილს ის ისვენებს, მაგრამ როდესაც ჯერალდი მოწყენილია ან მოშიებულია, მაშინ ის წყლიდან ხტება და აკვარიუმში დაყენებულ თერმომეტრს სტაცებს პირს. ის მას მანამდე ახლის აკვარიუმის კედელს, სანამ ყურადღებას არ მივაქცევთ, – განაცხადა მილერმა.

თევზის პატრონს აშფოთებს ის ფაქტი, რომ ჯერალდი ზრდას აგრძელებს. მისი თქმით, ოქროს თევზები 2-5 სანტიმეტრამდე იზრდებიან, თუმცა არსებობენ ველური ოქროს თევზები, რომლებიც სიგრძეში 30-35 სანტიმეტრამდე აღწევენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სტუდენტმა მეგობრის რჩევას ყური არ უგდო და გამდიდრდა

ავსტრალიის კოლეჯის სტუდენტმა ცხოვრებაში პირველად შეიძინა ლატარიის ბილეთი და ჯეკპოტი მოხსნა.

ავსტრალიელის თქმით, მან გადაწყვიტა თავის ცხოვრებაში პირველად ეთამაშა ლატარია ქალაქ პერტას გარეუბან კანინგტონში, მიუხედავად იმისა, რომ მეგობარი ურჩევდა, რომ ამისგან თავი შეეკავებინა.

– მეგობარი ცდილობდა ჩემთვის გადაეფიქრებინა ლატარიის ბილეთის ყიდვა, ვინაიდან არასოდეს არაფერში მიმართლებდა, – განმარტა მან.

სტუდენტმა მეგობრის რჩევა ყურად არ იღო და გამდიდრდა. მან ჯეკპოტი, 600 ათასი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

– როდესაც გავითავისე, რომ მოვიგე, საკუთარ თავს ვუჩქმიტე, ვინაიდან ვფიქრობდი, რომ ეს სიზმარი იყო, – განაცხადა მან.

მოგებული თანხის ნაწილით ის წმინდა პატრიკის დღის აღნიშვნას ლობსტერებით და ლუდით აპირებს.

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძღურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ: 593-60-60-44; 299-95-33 იკითხეთ ექიმი მერაბი.

შოთა არველაძე: „აიაქსთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს“

18 მარტს ამსტერდამის აიაქსს დაარსების 120 წლისთავი შეუსრულდა. ნიდერლანდური კლუბის ვებგვერდზე ნელ-ნელა იხსენებენ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც ამსტერდამული გუნდის მაისური მოურგიათ. ქართველთაგან ასეთი 2 იყო – შოთა არველაძე და გიორგი ქინქლაძე.

თუმცა, გუნდის გამორჩეულ ფეხბურთელთა სიაში მხოლოდ არველაძე მოხვდა და მისი ინტერვიუც აიაქსის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

შოთა აიაქსში გატარებულ პერიოდს სიამოვნებით იხსენებს და ამსტერდამულ კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი გამორჩეულად ახსოვს.

შოთა არველაძე:

– აიაქსთან ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს, მაგრამ მთავარი და ყველაზე საყვარელი კლუბთან გაფორმებული კონტრაქტია. ეს ახდენილი ოცნება იყო ჩემთვის. სასიამოვნო და არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის, რომ თანაგუნდელებმა ძალიან კარგად მიმიღეს. ვგრძნობდი, რომ ერთ-ერთ მათგანი ვიყავი და, რაც მთავარია, შესანიშნავი პირველი სეზონი გვქონდა. დუბლი შევასრულე და ბევრი ლამაზი გოლი გავიტანე. აიაქსი შესანიშნავი კლუბია უდიდესი ისტორიით და აქ თამაში განსაკუთრებულ გრძნობებთან ასოცირდებოდა. სტადიონზე ყოველთვის შესანიშნავი ატმოსფერო იყო და კლუბის შესახებ მხოლოდ დადებითის თქმა შემიძლია.

– აიაქსის მატჩებს ადევნებთ თვალს?

– რა თქმა უნდა. სამსახურის გამო ამსტერდამში ჩასვლას ხშირად ვერ ვახერხებ. თუმცა, გასულ წელს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩს დავესწარი. ახლა ჩამოსვლა არ შემიძლია, რადგან მანძილი საკმაოდ დიდია. მოუთმენლად ველი ამსტერდამში დაბრუნების კიდევ ერთ შესაძლებლობას. 25 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა და ეს ცვლილებები პოზიტიურია. ამაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მარკ ოვერმარსმა და ედვინ ვან დერ სარმა.

– იყო პერიოდი, როდესაც აიაქსს ჩავარდნა ჰქონდა, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ბოლო სეზონში ყველას შეახსენა თავი.

– ბოლო წლებში ევროპაში სწორედ ის აიაქსი ვიხილეთ, რომელსაც დიდხანს ველოდით. აიაქსი საერთაშორისო ასპარეზზე შესანიშნავად დაბრუნდა და კლუბის წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მანამდე აიაქსი ევროპა ლიგის ფინალში გავიდა. ვფიქრობ, რომ მიმდინარე სეზონში კლუბს უბრალოდ არ გაუმართლა. ვფიქრობ, აიაქსის ევროპული წარმატება ჯერ დასრულებული არ არის. ვიმედოვნებ, რომ კლუბი აღორძინდება და კიდევ უფრო წარმატებული იქნება.

შეგახსენებთ, რომ შოთა არველაძე აიაქსის ღირსებას 1997-2001 წლებში იცავდა და ჰოლანდიური კლუბის რიგებში ჩატარებულ 124 შეხვედრაში 72 გოლი გაიტანა.

ბარსა გრიზმანს გაყიდის და ნეიმარს იყიდის

ესპანური მედიის ცნობით, ბარსელონას მომავალი სეზონისთვის შემადგენლობის გაძლიერება სურს, მაგრამ არსებული კრიზისიდან გამომდინარე, დიდი თანხის დახარჯვა არ უნდა. შედეგად, ამოგებას 29 წლის ანტუან გრიზმანის ტრანსფერიდან გეგმავს.

ბარსელონას ფრანგი ფეხბურთელის სანაცვლოდ, მადრიდის ატლეტიკოსთვის 120 მილიონი ევრო აქვთ გადახდილი, ამჯერად კი, მისი სატრანსფერო ფასი დაახლოებით 100 მილიონია.

ბარსაში თვლიან, რომ გრიზმანის შედეგები კლუბის დონეს არ შეესაბამება, რაზეც პრინციპში მისი სტატისტიკაც მეტყველებს – ლა ლიგის მიმდინარე სეზონში ფრანგმა ლეგიონერმა მონაწილეობა 26 მატჩში მიიღო და მის აქტივში 8 გოლი და 5 საგოლე პასია.

კატალონიელებს გრიზმანის გასხვისება ისე სურთ, რომ მზად არიან, რომელიმე ფეხბურთელშიც კი გაცვალონ, ანაც სულაც იჯარის წესით გაასხვისონ.

როგორც ირკვევა, ბარსა ბრაზილიელ ფილიპე კოუტინიოსთან განშორებასაც აპირებს, რომელიც ამჟამად მიუნხენის ბაიერნში ჰყავს განათხოვრებული. დიდი ალბათობით, კამპ ნოუდან აბარგება მოუწევს სამუელ უმტიტისაც, რომელიც 50 მილიონ ევროდ არის შეფასებული.

ცნობილია იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალიც, რომელთა გადაბირებასაც კატალონიელები ეცდებიან.

პირველ რიგში, ეს, ფრანგული პსჟ-ს ვარსკვლავი ნეიმარია, შემდეგ კი, ვილიარეალის მცველი პაუ ტორესი და მანჩესტერ სიტის უკანახაზელი ემერიკ ლაპორტი.

მასიმო ჩელინო: „ახლა ფეხბურთი და დაწყევლილი სკუდეტო ფეხებზე მკიდია“

იტალიური ბრეშიას პრეზიდენტი მასიმო ჩელინო აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ სერია ა-ს სეზონის განახლებაზე მუშაობენ. ჩელინო მიიჩნევს, რომ იტალიას უახლოეს პერიოდში საფეხბურთოდ არ ექნება საქმე.

მასიმო ჩელინო:

– სულელები ნუ იქნებით! როგორ უნდა განახლდეს სეზონი? ლაციოს პრეზიდენტს თუ ასე სურს სკუდეტო –

წაიღოს. მას სჯერა, რომ ლაციო დაუმარცხებელია და თავი დაანებეთ, იფიქროს, რაც უნდა. რომელ სერია ა-ზე და თასზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა გარშემო ჭირია მოდებული?! ახლა ფეხბურთი ფეხებზე მკიდია. ბრეშიაში ხალხი უმწეოდ არის. ისინი ჩუმად იღუპებიან და ზოგიერთებს სიტუაციის სირთულე არ ესმით, სათანადოდ ვერ აფასებენ. ეს ხალხი ვირუსზე უარესია. ვისაც სურს ეს დაწყევლილი სკუდეტო, სახლში წაიღოს და შეგვეშვას.

გავრცელებული ინფორმაციით, ლომბარდიაში ყველაზე მასობრივად გავრცელებული კორონავირუსის სათავე ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური შეხვედრა იყო, რომელიც მილანში გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ატალანტამ ესპანურ ვალენსიას უმასპინძლა და 4:1 გაანადგურა.

ეს მატჩი მილანში „სან სიროს“ სავსე ტრიბუნების ფონზე გაიმართა.

ახალი ვირუსი იტალიასა და ესპანეთში ყველაზე მეტად არის გავრცელებული, ხოლო ლომბარდია ყველაზე ეპიცენტრულია.

ინგლისის პრემიერ ლიგა განახლებას 1 ივნისს აპირებს

ინგლისის პრემიერ ლიგამ დაამტკიცა წინასწარი გეგმა, რომლის თანახმად, მიმდინარე სეზონის მატჩები განახლდება 1 ივნისს და გაგრძელდება 6 კვირა. ამავე დროს, ახალი სეზონი იწყება 8 აგვისტოს. ამ ინფორმაციას ბრიტანული მედია ავრცელებს.

როგორც ინგლისელი ჟურნალისტები წერენ, ასეთი გრაფიკი საშუალებას მისცემს კლუბებს, თავიდან აიცილონ ფინანსური კატასტროფა.

რა თქმა უნდა, 1 ივნისი, ჯერჯერობით, სავარაუდო თარიღია და მისი რეგულირება შესაძლებელია, მაგრამ თუ ჩემპიონატი ზაფხულის პირველ დღეს განახლდება, ყველა მატჩი ჩატარდება მაყურებლის გარეშე.

მოსალოდნელია, რომ როგორც პრემიერ ლიგა, ასევე ასოციაციის თასი დასრულდება 11 ივლისს, რაც საზაფხულო არდადეგების საშუალებას მისცემს კლუბებს ახალი სეზონის დაწყებამდე.

ლა ლიგამ და ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ განაცხადეს, რომ ქვეყნის ჩემპიონატი კორონავირუსის გამო შეუზღუდავი ვადით გადაიდო.

მთლიანი პროფესიონალური ფეხბურთი უვადოდ შეწყვეტილია და მას შემდეგ განახლდება, რაც სახელმწიფო შესაბამის ნებართვას და დირექტივებს გასცემს.

როგორც ხედავთ, 2 უმსხვილეს და წამყვან საფეხბურთო ლიგაში აზრთა სხვადასხვაობაა. პრემიერლიგაში ფიქრობენ სეზონი დროულად განაახლონ. პლუს, ტელევიზიებისთვის გადასახდელი 762 მილიონი გირვანქა სტერლინგი ვალად არ დაედოთ. ლა ლიგა კი მოთმინებას ირჩევს.

ფიფას სამედიცინო ექსპერტი მიშელ დუგი კი საფეხბურთო სამყაროს მოუწოდებს, რომ ფინანსური მოგება სიცოცხლეზე წინ არ დააყენონ.

დუგი თვლის, რომ ჩემპიონატების ნაადრევად განახლება და მატჩების ცარიელი ტრიბუნების წინ ჩატარება საფრთხისგან თავის დაცვას არ ნიშნავს.

მოამზადა მიხეილ ყორეყოლიანმა

კანადა და ავსტრალია ოლიმპიადაზე უარს ამბობენ

მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში თითქმის ყველა სპორტული ღონისძიება გადაიდო, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) ჯიუტად დგას თავის პოზიციაზე და ტოკიოში გასამართ ოლიმპიური თამაშების დადგენილ ვადებში ჩატარება სურს. თუმცა, ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, პოზიციის შეცვლა მოუწევს.

საქმე ის არის, რომ კანადის ოლიმპიური კომიტეტის განცხადებით, საკუთარ სპორტსმენებს 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე არ გაუშვებს და თამაშების ერთი წლით გადავადების ინიციატივით გამოდის.

კანადელთა განცხადებას მალევე მოჰყვა ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტის მიმართვაც, სადაც ასევე ნათქვამია, რომ პანდემიის გამო, ქვეყანა ოლიმპიურ გუნდს ვერ შეკრებს და თამაშებისთვის მომზადებას ერთი წლის შემდეგ შეძლებენ.

კანადისა და ავსტრალიის გზას დაადგებიან ნორვეგია, სერბეთი და ხორვატია... სავარაუდოდ, ეს ჯაჭვი არ გაწყდება და სხვა არაერთი ქვეყანაც ასე მოიქცევა.

სოკის პრეზიდენტმა თომას ბახმა სპორტსმენებს მიმართა.

თომას ბახი:

– ძვირფასო სპორტსმენებო, ამ უპრეცედენტო კრიზისში ყველა ერთნი ვართ. ჩვენც თქვენსავით აღელვებული ვართ იმით, რაც კოვიდ 19-ის პანდემიის გამო ხდება მსოფლიოში. ჩვენი ორგანიზაციის უმთავრესი პრინციპია ასპარეზობათა ყველა მონაწილის ჯანმრთელობის დაცვა და ვირუსის გავრცელების შეკავებისთვის ხელშეწყობა. დღეს ყველა დაინტერესებულ პირთან ერთად ზედმიწევნით ვაფასებთ მსოფლიოში ჯანდაცვის სფეროში არსებულ ვითარებას და მის გავლენას ოლიმპიურ თამაშებზე, მათ შორის გადავადების სცენარს. გულმოდგინედ ვმუშაობთ და დარწმუნებულები ვართ, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების შესაძლო გადადებასთან დაკავშირებით მსჯელობას შემდგომ 4 კვირაში დავასრულებთ,

გეგმის თანახმად, ზაფხულის 32-ე ოლიმპიურ თამაშებს ტოკიომ 2020 წლის 24 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით უნდა უმასპინძლოს და მასში 200-ზე მეტი ქვეყნის 12.500-მდე სპორტსმენი უნდა წარდგეს.

საღღეისოდ ცნობილია მონაწილე სპორტსმენთა 53%-ის ვინაობა, დარჩენილი 47% სალიცენზიო ტურნირებმა უნდა გამოავლინოს. თუმცა, ჯერ არავინ იცის, როდის გაიმართება ეს ტურნირები.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 2. ლუდის სასმელი ჭიქა; 3. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 5. რძის პროდუქტი; 6. კინოსა და თეატრის ცნობილი ქართველი მსახიობი ქალი; 8. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 10. მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 12. პროვინციის მმართველი სპარსეთში; 14. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. მოხეტიალე ცირკი; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა.

თარაზულად: 1. ბერძნული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ზედა მოსასხამი; 7. „ნბა“-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ახლად ამოსული პურის ყანა; 11. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 12. ქალაქი, რომელიც ორ კონტინენტზე მდებარეობს; 13. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 18. ბრიტანული არაყი; 19. მომავლის რწმენა; 20. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა.

შეადგინა თ.ბოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ობლიგაცია; 6. პირამიდა; 7. ბაზალტი; 9. გალოპი; 10. ბელი; 11. აგარაკი; 13. სვავი; 15. გალიფე; 17. პიკნიკი; 18. პანამა; 19. მესტია; 20. ვიზიონი.

შვეულად: 1. ორბიტა; 2. ალტი; 3. დინოზავრი; 4. პიურე; 5. გამბიტი; 8. არაგვი; 9. გაკვეთილი; 12. კარატი; 14. ასკეტი; 16. ემალი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1880

ევრო — 3.4230

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7583

100 რუსული რუბლი — 4.0410

ამინდის პროგნოზი 24 მარტისთვის

17 მარტიდან

ტარიელ ზოზრაშვილი

მთელი მსოფლიო

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

დათო გომართელი საქართველოში 90 წლის დედის გამო დაბრუნდა

მომღერალი დათო გომართელი, რომელიც იტალიაში საქართველოს საელჩოში მუშაობდა, სამშობლოში დედის გამო დაბრუნდა:

– ჩემ მიმართ არასწორი ინფორმაციები ვრცელდება. გადაუდებელი აუცილებლობის გამო და, კერძოდ, 90 წლის დედაჩემის ჯანმრთელობის გაუარესების დიდი რისკის გამო, მომიწია, ყველანაირი დიპლომატიური პროტოკოლის წესის დაცვით, იტალიიდან დროებით საქართველოში გამომგზავრება.

საქართველოში შემოსვლის დროს, საზღვარზე გავიარე დადგენილი შემოწმება და, რეგულაციების თანახმად, ვიმყოფები თვითიზოლაციაში და, საბედნიეროდ, ავადმყოფობის არანაირი სიმპტომები არ გამაჩნია.

ჩემი საქართველოში შემოსვლისთანავე დავრეკე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე, მსურველებს შეუძლიათ გადაამოწმონ და მათგან მივიღე შესაბამისი რეკომენდაციები.

სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კეთილი ადამიანების გარდა, არსებობენ პიროვნებები, რომლებიც არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, ავრცელებენ არასწორ და მავნებლურ ინფორმაციას. ამით ჩვენს ქვეყანას აგდებენ უფრო რთულ და პანიკურ სიტუაციაში, რაც, ჩემი აზრით, ძალზე საშიშია.

არ დაუჯეროთ ასეთ „ფეიკ“ ინფორმაციებს!

აქვე მსურს გითხრათ, რომ ძალზე შეწუხებული ვარ, რომ ამ კრიზისული სიტუაციის დროს მომიწია ჩემი კოლეგებისა და თანამშრომლების დატოვება იტალიაში.

ქედს ვუხრი ყველა მათგანს, მათი პროფესიონალიზმისთვის, ქვეყნისა და საქმის ერთგულებისათვის.

კიდევ ერთხელ მსურს მადლიერების გრძნობა გამოვხატო ჩემი მეგობრებისა და საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ, ვინც მართლა ალალად განიცდის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, არამედ მთელს სამყაროში არსებულ მძიმე მდგომარეობას, იცავს რეგულაციებსა და არ არღვევს კანონს.

უფლის წყალობა იცავდეს საქართველოსა და მთელს კაცობრიობას.

ასტროპროგნოზი

24 მარტისთვის

ვერძი – კარგი დღეა ნებისმიერი მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად, ინფორმაციის მისაღებად. გარშემომყოფები თქვენს აქტიურობას სათანადოდ დააფასებენ. ** კურო** – ვარსკვლავები გაფრთხილებენ – არავითარ შემთხვევაში არ მიიღოთ არანაირი შემოთავაზება. დიდია რისკის ალბათობა. ნურავის მიენდობით, შესაძლოა, მოგატყუონ. **ტყუპები** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამსახურში წინსვლა გელით. **კირჩხიბი** – მიენდეთ ინტუიციას. დღეს ის განსაკუთრებით გაგიმახვილდებათ და არ გიღალატებთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაშიც. **ლომი** – დღეს შეგიძლიათ თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ქალწული** – თუ თქვენს ხელთ არსებულ რესურსებს გონივრულად გამოიყენებთ, შეძლებთ, სოციალური სტატუსი უკეთესობისკენ შეცვალოთ, ასევე გაიუმჯობესოთ მატერიალური მდგომარეობა. **სასწორი** – პასიური, მძიმე დღეა. ნერვიულობთ და ამის გამო მოვლენებზე არაადეკვატურად რეაგირებთ. თუ ამ პერიოდს გადააგორებთ, წარმატება არ დააყოვნებს. **ღრიანკალი** – ნებისმიერ სიტუაციაში სიმშვიდე გამოიჩინეთ. ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. დღის მეორე ნახევარში კარგი იქნება ბუნებაში გასვლა და დასვენება. **მშვილდოსანი** – ახალი ნაცნობობა წარმატებას მოგიტანთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **თხის რქა** – იაქტიურეთ. შრომა აუცილებლად დაგიფასდებათ, ოღონდ ენერგია მაინც დაზოგეთ. ძალიან ნუ გადაიღლებით. **მერწყული** – პროფესიული საქმიანობა თქვენგან მაქსიმალურ კონცენტრაციას, დისციპლინასა და ორგანიზებულობას მოითხოვს. მამაკაცს მერწყულებს დღეს წარმატება ელით კარიერაში. **თევზები** – მიუხედავად სირთულისა, შეეცადეთ, გარშემომყოფებთან ურთიერთობის დროს კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. საღამოს აუცილებლად გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

სექსის მერე ქალი კაცს ეკითხება:

– ძვირფასო, ოდესმე მე და შენ დავქორწინდებით?

– გაგიჟდი?! ვის რა ჯანდაბად ვუნდივართ?!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, ჩადი რა მაღაზიაში...

– ჩავიდოდი, მაგრამ გარეთ ისეთი ამინდია, კაცი ძაღლს არ გააგდებს გარეთ...

– კარგი რა, საყვარელო, შენც უძაღლოდ ჩადი!

●●●

ორი დაქალი შეხვდა ერთმანეთს და ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ეს კაბა ძალიან გასუქებს...

– მართლა?! მე კი ნამცხვარს ვაბრალებდი... ამ კაბას აღარ ჩავიცვამ!

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბიჭო, ამას წინათ ისეთი მაგარი ელარჯი ვჭამე, რომ ორი დღე ტუალეტში მაკრატლით დავდიოდი.

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გოგო, ყველა ამბობდა, რომ სახლიდან გასვლისას საკმარისია სამედიცინო პირბადე გაიკეთო და ხელთათმანები ჩაიცვა იმისთვის, რომ კორონავირუსი არ შეგხვდეს.

– მერე?

– მერე, მაღაზიაში მივედი და აღმოჩნდა, ტანსაცმლის ჩაცმაც ჯერ ისევ საჭირო ყოფილა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რუდი გობერი: „თავს კარგად ვგრძნობ“

იუტა ჯაზის ცენტრმა რუდი გობერმა საკუთარ ინსტაგრამ გვერდზე დაწერა, რომ თავს კარგად გრძნობს და კორონავირუსმა მასზე უარყოფითი გავლენა არ მოახდინა.

გობერს ვირუსი 12 მარტს დაუდგინდა. ამის შემდეგ ნბა დროებით შეწყდა და ჯერჯერობით უცნობია, როდის განახლდება:

– კიდევ ერთხელ ყველას მადლობას ვუხდი თანადგომისთვის და მინდა ვთქვა, რომ თავს კარგად ვგრძნობ. იმედი მაქვს, ვირუსს მალე დავამარცხებ და ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდები. ასევე მინდა, რომ ნბა განახლდეს, მაგრამ არ ვიცი, ეს როდის მოხდება.

არსენალი ჯერჯერობით ვარჯიშების განახლებას არ აპირებს

ლონდონის არსენალში რამდენიმე დღეში ორკვირიანი კარანტინი დასრულდება, რომელიც მიკელ არტეტას დაინფიცირების გამო იყო გამოწვეული.

არტეტამ ვირუსი თითქმის დაამარცხა, მაგრამ არსენალი უახლოეს მომავალში ვარჯიშის განახლებას არ აპირებს, რადგან გარისკვა არ უნდა.

ინგლისის პრემიერ ლიგა ჯერჯერობით 30 აპრილამდე გადაიდო და შესაძლოა ის მაყურებლის გარეშე განახლდეს.

არსენალი ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე იმყოფება.

ლორენცო სანსი კორონავირუსს ემსხვერპლა

მადრიდის რეალის ყოფილი პრეზიდენტი ლორენცო სანსი 76 წლის ასაკში მადრიდის კლინიკაში გარდაიცვალა.

მიზეზი კორონავირუსია, რომელიც სანსს რამდენიმე დღის წინ დაუდგინდა. ის მაშინვე გადაიყვანეს საავადმყოფოში, თუმცა ამან სანსი სიკვდილისგან ვერ იხსნა.

ლორენცო სანსი რეალის პრეზიდენტი 1995-2000 წლებში იყო, ხოლო შემდეგ, რამდენიმე წლის მანძილზე, უკვე მალაგას ედგა სათავეში.

ბოლო წლებში სანსი აქტიურად ფეხბურთში ჩართული აღარ იყო.

ალექსანდრ გლები მესის და რონალდუს ბელორუსიაში იწვევს

ბელორუსიის ჩემპიონატი ფეხბურთში ამჟამად ერთადერთია, რომელიც არ შეწყვეტილა და გუნდები ჩვეულებრივად აგრძელებენ თამაშს. ამის გამო ბელორუსიის საფეხბურთო ლეგენდამ ალექსანდრ გლებმა იხუმრა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ბელორუსიის ჩემპიონატში მიიპატიჟა:

– ჩვენ ერთადერთი ვართ, სადაც თამაშობენ და ეს ფაქტი ძალიან მახარებს. თუ მესის და რონალდუს ფეხბურთის გარეშე მობეზრდებათ, მზად ვართ, ისინი ჩვენთან მოვიწვიოთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

თამუნა მუსერიძე დედა გახდება

ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე დედა მესამედ გახდება.

ის და მისი მეუღლე, რუსთაველის თეატრის მსახიობი სანდრო მიკუჩაძე მეორე შვილს ელოდებიან. ინფორმაცია სოციალურ ქსელში სანდრომ თავად გაავრცელა და უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილებიც მიიღო.

თამუნას პირველი შვილი ალექსანდრე მუსიკოს გურამ მაკალათიასგან ჰყავს, მეორე შვილი მსახიობ სანდრო მიკუჩაძესთან. სანდროს კი პირველი ქორწინებიდან გოგონა – ელენე ჰყავს.

თამუნას და სანდროს საერთო შვილი მარიანა კი სულ მალე 2 წლის გახდება.

სტეფანე მღებრიშვილი ჟურნალისტების გადამზადებას ითხოვს

მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი ჟურნალისტების გადამზადებას ითხოვს:

– მგონია, რომ ჟურნალისტების ქცევის გადამზადებაც უნდა მოხდეს. დიდი პატივისცემით ვარ სათითაოდ. მესმის, რომ მათ გარეშე ჩვენ ვერ მივიღებთ ინფორმაციას და სრულ იზოლაციაში ვიქნებით. მაგრამ ერთმანეთთან დისტანცია პირბადის გარეშე, ხელთათმანის გარეშე. რკინის მიკროფონებს ადებენ ერთმანეთს და მერე რესპონდენტებს ამ მიკროფონებით ეხებიან პირზე. რაღაც ზომებია საჭირო. ყველანაირი სარკაზმის გარეშე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბრაზილია პარაგვაის საზღვარზე, მდინარე პარანაზე აგებული მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური; 2. მონასტერი ადიგენის რაიონში; 3. ფულის ერთეული ჩინეთში; 5. სვლა ჭადრაკში; 6. სილამაზის, ბედნიერების, სიყვარულის და სიმდიდრის ღვთაება ინდუიზმში; 8. გენო ხოჯავას მხატვრული ფილმი; 11. ცის სფეროს დიდი წრე, რომელზედაც წარმოებს მზის ხილული მოძრაობა წლის განმავლობაში; 13. საზოგადოებრივი მოვლენის, ამბების ქრონოლოგიური აღნუსხვა; 14. სიტყვის ბოლოსართი; 15. მდინარე ახალციხეში; 19. გამარჯვების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

თარაზულად: 1. უკიდურესი სისასტიკით გამორჩეული კათოლიკური ეკლესიის სასამართლო, დამსჯელი ორგანიზაცია ძველად; 4. ქართული სანადიმო სიმღერა; 7. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 9. თავისუფალ გლეხთა კატეგორია ძველად საქართველოში; 10. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 18. ამერიკელი მწერალი, რომან „ფინანსისტის“ ავტორი; 16. რაიონული ცენტრი კახეთში; 17. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 18. იამაიკის დედაქალაქი; 20. სქელი, ეკლიანი ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 21. ხერხემლის ძვალი, 22. მოწინააღმდეგე კამათში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა